©კარლო კაჭარავა

სარჩევი

პერსონოლოგია – მეცნიერება პიროვნების შესახებ

პიროვნების ცნება

პიროვნების თეორია

პიროვნების თეორიის კომპონენტები

პიროვნების ფსიქოლოგიის ორი ძირითადი მიმართულება

პერსონოლოგია – მეცნიერება ადამიანის შესახებ

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანების წინაშე წამოჭრილი პრობლემებიდან ყველაზე რთული, ამოუცნობი და ძნელად გადასაჭრელი, ალბათ, თავად ადამიანის ბუნების ამოცანა რჩება. ზუსტი და ნათელი პასუხი მუდმივად გვისხლტება ხელიდან მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს და ურიცხვი კონცეფციაა შექმნილი. არსებით სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ ყველანი ძალზე განვსხვავდებით ერთმანეთისგან. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არამარტო გარეგნობით, ფიზიკური მონაცემებით, არამედ ქცევებითაც, რომელიც ხშირად ესოდენ რთული და არაპროგნოზირებადია. დედამიწაზე მცხოვრებ 5 მილიარდზე მეტ ადამიანში არ მოიძებნება ორი სრულიად იდენტური ადამიანი. ეს უზარმაზარი განსხვავებანი ართულებს, თუ საერთოდ შეუძლებელს არ ხდის, იმ ზოგადის, საერთოს დადგენის ამოცანას, რაც აერთიანებს ადამიანთა რასის წარმომადგენლებს. მაგალითისთვის ავიღოთ თავგადადებული მეცნიერი, სისხლის სამართლის დამნაშავე, ბერი, კორუმპირებული ჩინოვნიკი და მაღალი რანგის ოფიცერი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ადამიანებს ქსოვილებისა და ორგანოების გარდა კიდევ რაიმე აქვთ საერთო, მაგალითად, "ადამიანის ბუნების" რაღაც თავისებურებები, ხოლო როცა მეცნიერული ძიების ჰორიზონტები სხვადასხვა კულტურათა კვლევამდე ფართოვდება, აღმოვაჩენთ ძირეულ ღირებულებათა, მისწრაფებათა და ცხოვრების სტილის უფრო მეტ მრავალფეროვნებას.

პიროვნების ცნება

ტერმინის ეტიმოლოგია

„პერსუ" – მოდის ძველი ეტრუსკულიდან და ნიშნავს შენიღბულ ფიგურას, ნიღაბს. ლეგენდის თანახმად, ეს ნიღაბი ანუ პერსუ პირველად ძველ რომში გამოიყენა მსახიობმა თავისი ელამი თვალების დასაფარად.

„პერსუ" ლათინურში ტრანსფორმირდა "პერსონად", რაც, ასევე, ნიღაბს ნიშნავს, რომელსაც მსახიობები იყენებდნენ თეატრალური წარმოდგენისას ძველბერძნულ დრამაში. თავისი არსით, ეს ტერმინი თავდაპირველად მიუთითებდა კომიკურ ან ტრაგიკულ ფიგურაზე თეატრალურ მოქმედებაში.

რა არის პიროვნება

ალტერნატიული პასუხები

ტერმინის შინაარსში თავდაპირველად მოიაზრებოდა პიროვნების გარეგანი, ზედაპირული სოციალური ხატი, რომელსაც ინდივიდი იღებს გარკვეული ცხოვრებისეული როლის თამაშის დროს. ესაა გარშემო მყოფებისკენ მიმართული ერთგვარი საზოგადოებრივი სახე. ეს მოსაზრება ემთხვევა თანამედროვე არაპროფესიონალის მოსაზრებას, რომელიც, ჩვეულებრივ, პიროვნებას აფასებს მომხიბვლელობის, საზოგადოებაში ქცევის უნარის ქონის, პოპულარობის, ფიზიკური მიმზიდველობისა და სხვა სოციალურად სასურველი მახასიათებლების მიხედვით. ასეთი მიდგომა

ბადებს ისეთ კომენტარებს, როგორიცაა „X სასურველი პიროვნებაა“, „Y არასასიამოვნო პიროვნებაა“. ეს კონცეფცია მთლიანად მეცნიერული ფსიქოლოგიის ფარგლებს გარეთ მდებარეობს, რადგანაც ყურადღების მიღმა ტოვებს ქცევის მრავალ თავისებურებას, რომელიც აუცილებლად პიროვნების კონტექსტში უნდა იქნას შესწავლილი.

პიროვნება, ასევე, განიხილებოდა, როგორც ინდივიდის ყველაზე მკაფიო და შესამჩნევი მახასიათებლების კომბინაცია. ამგვარად, ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ “ის მორცხვი პიროვნებაა” ან “ის მეგობრული პიროვნებაა” და იგულისხმება, რომ მორცხვობა ან მეგობრულობა მისი ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია. მსგავს მაგალითებში საქმე გვაქვს პიროვნების გაიგივებასთან იმ გარეგან სოციალურ შთაბეჭდილებასთან, რომელსაც მოცემული ინდივიდი გარშემომყოფებზე ახდენს მათთან ურთიერთობის პროცესში. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ახდენს ზეგავლენას ურთიერთობის სიტუაციებში პიროვნების ქცევათა უმრავლესობაზე მისი ყველაზე გამორჩეული, აშკარა თვისებები. სამწუხაროდ, ტერმინის ასეთი, ფაქტიურად, პოპულარული გამოყენებისას ხელიდან გვისხლტება იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანი შეიძლება კონკრეტული სიტუაციისდა მიხედვით იყოს მეგობრული ან მორცხვი. ამასთან, ტერმინი "პიროვნება" პერსონოლოგთა უმრავლესობის გაგებაში არ გულისხმობს ადამიანის ხასიათის ან მისი სოციალური უნარების შეფასებას. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ "X არაჩვეულებრივი პიროვნებაა", ალბათ, ვგულისხმობთ მის კეთილგანწყობას, უშუალობას ან სხვებისათვის დახმარებისადმი მზაობას. თუმცა, პიროვნების საკითხებზე მომუშავე ფსიქოლოგები არ იყენებენ მახასიათებლებს ერთეული მნიშვნელობით ანუ არ ყოფენ პიროვნებებს კარგებად და ცუდებად.

პიროვნება წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც აერთიანებს ადამიანისთვის დამახასიათებელ მრავალ ასპექტს – ემოციებს, მოტივაციას, აზრებს, განცდებსა და ქცევებს, თუმცა, პიროვნება, როგორც ცნება, არ უნდა დავიყვანოთ ინდივიდუმის ფუნქციონირების რომელიმე ასპექტზე. პიროვნების კონცეპტუალური მნიშვნელობა მრავალწახნაგოვანია – ის მოიცავს შინაგან ფსიქიკურ პროცესთა ფართო სპექტრს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ქცევის თავისებურებებს სხვადასხვა სიტუაციებში. ვინაიდან ასეთ რთულ ცნებასთან გვაქვს საქმე, შეუძლებელია მისი რაიმე მარტივი კონცეპტუალური განსაზღვრების მოცემა. ფსიქოლოგიის ფარგლებშიც კი ვერ ვიპოვით ამ ტერმინის ერთადერთ, საყოველთაოდ მიღებულ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობები იმდენი შეიძლება იყოს, რამდენი ფსიქოლოგიც მუშაობს ამ საკითხზე.

პიროვნების ცნების განსაზღვრებათა მრავალფეროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ზოგადად გადავავლოთ თვალი პიროვნების ფსიქოლოგიის რამდენიმე ძირითად მიმართულებას.

ფსიქოდინამიკური თეორიები. აქ შედის ფროიდის, იუნგის, ადლერის, ფრომის, ჰორნის, სალივანისა და სხვათა თეორიები. ამ თეორიებს შორის უამრავი განსხვავებაა, მაგრამ ყველა შეიცავს მნიშვნელოვან ბაზისურ იდეას: თითოეულისთვის პიროვნება ხასიათდება ინტეგრაციის ტერმინებით. მკვეთრი მახვილი კეთდება განვითარების ფაქტორებზე, რაც გულისხმობს დაშვებას იმის შესახებ, რომ პიროვნება თანდათანობით ვითარდება დროში და ეს განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ

როგორ ხდება ფაქტორთა ინტეგრირება (ანუ რა კომბინაციას ქმნიან ზეგავლენის მქონე ფაქტორები). მეტიც, მოტივაციის ცნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების აღწერა მხოლოდ მაშინ ითვლება თეორიული ღირებულების მქონედ, თუ განხილული და შეფასებულია მისი ძირითადი მოტივაციური სინდრომი.

ბიჰევიორიზმი. პიროვნების შესწავლისას აქცენტი კეთდება დასწავლის თეორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პიროვნების შესახებ გავლენიანი წმინდად ბიჰევიორისტული თეორიები, ამ ორიენტაციამ სტიმული მისცა სხვა თეორიებს, რომ უფრო ახლოს განეხილათ ინტეგრალური პრობლემა: ადამიანთა უმრავლესობის მიერ განხორციელებული ბიჰევიორალური რიგი (ქცევათა რეპერტუარი) რამდენად არის პიროვნების აღნიშნული ტიპის, შტრიხების თუ დინამიკის შედეგი და რამდენად უკავშირდება გარემოში მიმდინარე მოვლენებსა და განმამტკიცებლის შემთხვევითობას.

ჰუმანიზმი – ორიენტაცია, რომელიც შეიქმნა, როგორც რეაქცია იმაზე, რასაც დომინანტურად მიიჩნევდა ფსიქოლოგიაში ფსიქოანალიზი და ბიჰევიორიზმი. ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან მასლოუ, როჯერსი, მეი და ფრანკლი, ფოკუსირდებიან ფენომენოლოგიაზე (სადაც უმთავრესია სუბიექტური მენტალური გამოცდილება), ჰოლიზმზე (სადაც უარყოფილია ბიჰევიორიზმის რედუქციონიზმი) და თვითაქტუალიზაციაზე მიმართული დრაივის მნიშვნელობაზე. ჰუმანისტური მიმართულების მთავარ პრობლემას მისი თეორიული მოსაზრებების მეცნიერული გადამოწმება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა პიროვნების ფსიქოლოგიაში.

სოციალური დასწავლის თეორიები. ამ თვალსაზრისზე მყოფ თეორიულ მოსაზრებათა უმრავლესობა მომდინარეობს გარემოსა და თანდაყოლილ ნასახთა შორის ბალანსის პრობლემიდან, თუმცა, პიროვნების ცნება განიხილება, როგორც ქცევის სოციალურ კონტექსტში შექმნილი ასპექტები. აქ წამყვანი თეორეტიკოსია ალბერტ ბანდურა, რომლის პოზიციაც ეფუძნება შემდეგ დაშვებას: მიუხედავად იმისა, რომ დასწავლა კრიტიკულია, მარტივი სტიმულების – რეაქციის ასოციაციურობისა და განმამტკიცებლთა შემთხვევითობის – გარდა არსებობს სხვა ფაქტორები, რომელიც საჭიროა მოცემულ პიროვნებაში განსაკუთრებით წარმოჩენილი რთული სოციალური ქცევების (მაგალითად, სოციალური როლის) ჩამოყალიბების ასახსნელად; კერძოდ, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მეხსიერება, შეკავებისა და თვითრეგულაციის პროცესები, ძირითადი კვლევა კი ფოკუსირდება მოდელირებასა და დაკვირვებით სწავლაზე, როგორც მექანიზმზე, რომელმაც სოციალურ კონტექსტში განხორციელებული ქცევის რეგულატორთა დამაკმაყოფილებელი თეორიული ახსნა შეიძლება მოგვცეს.

სიტუაციონიზმი – ბიჰევიორიზმისა და სოციალური დასწავლის თეორიის დერივატი. ძირითადი დებულება: დაკვირვებადი ქცევების რეპერტუარი სიტუაციის მახასიათებლებით უფრო მეტადაა დეტერმინირებული, ვიდრე რომელიმე ინტერნელური (შინაგანი) პიროვნული ტიპით ან მახასიათებლებით. ამ პოზიციიდან პიროვნული ნიშნის (მახასიათებლის) ცნება მეტი არაფერია, თუ არა იმ დამკვირვებლის მენტალური კონსტრუქცია, რომელიც ცდილობს ჩაწვდეს სხვათა ქცევას და

ეს კონსტრუქცია მხლოდ მის გონებაში არსებობს. ქცევის რეგულარულობა მიეწერება სიტუაციების მსგავსებას, რომელშიც ხვდება მოცემული ინდივიდი, და არა მის შინაგან მუდმივობას და უცვლელობას.

პიროვნების განსაზღვრებათა ოლპორტისეული კლასიფიკაცია

პიროვნების ფსიქოლოგიაში არსებული პიროვნების ცნების მრავალრიცხოვანი (50-მდე) განსაზღვრებები ლიტერატურაში მოიძია და განიხილა გორდონ ოლპორტმა. მანვე მოახდინა მათი კლასიფიკაცია. კრიტერიუმად აღებული იყო ის მხარე, ის ასპექტი, რასაც ეხებოდა ისინი. გამოიყო სულ შვიდი კატეგორია: განსაზღვრებები, რომლებიც ეხება:

- ტერმინის ეტიმოლოგიას ან ადრეულ ისტორიას
- თეოლოგიურ მნიშვნელობას
- ფილოსოფიურ მნიშვნელობას
- იურიდიულ მნიშვნელობას
- სოციალურ მნიშვნელობას
- ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას
- გარეგან გამოვლინებებს

ოლპორტის საკუთარი განმარტება

ოლპორტმა მოგვცა თავისი განმარტებაც, რომელშიც შეეცადა შეეტანა უკვე არსებულ განმარტებებში მოცემული დადებითი ელემენტები და გვერდი აევლო ნაკლოვანებებისათვის. შედეგად მიღებული განმარტება ასეთია: "პიროვნება არის ინდივიდის იმ ფსიქოფიზიკური სისტემის დინამიკური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მის უნივერსალურ შეგუებას გარემოსთან".

ამ განმარტებაში ტერმინი

ფსიქოფიზიკური – მიგვანიშნებს, რომ ის არ არის არც მხოლოდ ფსიქიკური და არც მხოლოდ ფიზიოლოგიური; რომ ორგანიზაცია იწვევს ორივეს, როგორც სულის, ისე სხეულის, ოპერაციებს, რომელთა ერთმანეთისგან დაშორება შეუძლებელია.

დინამიკური ორგანიზაცია – ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პიროვნება არის მუდმივად განვითარებადი და ცვალებადი, თუმცა, რადგან იგი ორგანიზაციაა და სისტემაა, ერთმანეთთან აკავშირებს მის განსხვავებულ კომპონენტებს და ამყარებს მათ შორის ურთიერთობას.

განსაზღვრავს – ნათელს ხდის, რომ პიროვნება შეფასებულია მადეტერმინირებელი ტენდენციებით, ის აქტიურ როლს ასრულებს ინდივიდის ქცევაში. ოლპორტი აღნიშნავს, რომ "პიროვნება არის რაღაცა და აკეთებს რაღაცას... ესაა ის, რაც არსებობს ინდივიდში სპეციფიკური აქტების მიღმა", ანუ პიროვნება არ არის უბრალოდ დამკვირვებლის კონსტრუქტი ან ის, რაც მხოლოდ მეორე, მასზე მორეაგირე

პერსონის არსებობის შემთხვევაში არსებობს. პიროვნებას აქვს რეალური არსებობა.

უნიკალური – ორი ინდივიდი არასოდეს რეაგირებს გარემოზე ზუსტად ერთნაირად. ამიტომ მათ არ აქვთ (და ვერც ექნებათ) ერთნაირი პიროვნება.

შეგუებას გარემოსთან – პიროვნება ასრულებს მედიატორულ როლს ინდივიდსა და მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოს შორის; ამასთან, პიროვნება კრიტიკულ-ფუნქციონალური ანუ ადაპტური მნიშვნელობის მქონეა.

ძირითადი, რაც საერთოა ყველა განსაზღვრებისათვის

არსებულ კონცეფციათა მრავალფეროვნება და მათ შორის განსხვავებათა არსებობა მიუთითებს, რომ სხვადასხვა თეორიულ მოსაზრებათა პოზიციებიდან პიროვნების შინაარსი გაცილებით მრავალწახნაგოვანია, ვიდრე თავდაპირველად წარმოდგენილი "გარეგანი სოციალური ხატის" კონცეფცია. ის გაცილებით მნიშვნელოვანის, არსებითისა და უცვლელის მატარებელია. გარდა ამ პრინციპული შეთანხმებისა, პიროვნების თეორიულ განსაზღვრებათა უმრავლესობა მოიცავს შემდეგ ზოგად პუნქტებს:

• განსაზღვრებათა უმრავლესობაში ხაზგასმულია ინდივიდუალურობის ან ინდივიდუალურ განსხვავებათა მნიშვნელობა. პიროვნებაში წარმოდგენილია ისეთი განსაკუთრებული თვისებები, რომელთა მეშვეობითაც მოცემული ადამიანი განსხვავდება დანარჩენებისგან. გარდა ამისა, იმის გაგება, თუ რომელი სპეციფიკური თვისებები თუ მათი კომბინაციები გამოადიფერენცირებენ ერთ პიროვნებას მეორისგან, მხოლოდ ინდივიდუალურ განსხვავებათა შესწავლითაა შესაძლებელი.

• განსაზღვრებათა უმრავლესობაში პიროვნება წარმოდგენილია გარკვეული ჰიპოთეტური სტრუქტურის ან ორგანიზაციის სახით. ინდივიდის უშუალო დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომი (ნაწილობრივ მაინც) ქცევა განიხილება, როგორც პიროვნების მიერ ორგანიზებული ან მასთან ინტეგრირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნება არის ადამიანის ქცევაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე აგებული აბსტრაქცია.

• განსაზღვრებათა უმრავლესობაში ხაზგასმულია იმის მნიშვნელოვნობა, რომ პიროვნება განხილულ უნდა იქნას ინდივიდუმის ცხოვრებისეულ ისტორიასთან ან განვითარების პერსპექტივებთან შესაბამისობაში. პიროვნება ევოლუციურ პროცესში ხასიათდება, როგორც შინაგან და გარეგან ფაქტორთა (მათ შორის, გენეტიკური და ბიოლოგიური წინასწარი მზაობა, სოციალური გამოცდილება და გარემოს ცვალებადი პირობები) ზეგავლენის სუბიექტი.

• განსაზღვრებათა უმრავლესობაში პიროვნება წარმოდგენილია იმ მახასიათებლებით, რომლებიც “პასუხს აგებს” ქცევის მდგრად ფორმებზე. პიროვნება, როგორც ასეთი, შედარებით უცვლელია და მუდმივია დროსა და ცვალებად სიტუაციებში; ის უზრუნველყოფს უწყვეტობის განცდას დროსა და გარემოს პირობებში.

პიროვნება, როგორც მეცნიერული კვლევის სფერო

პიროვნების სფერო განსხვავდება სხვა ყველა დანარჩენისგან იმით, რომ აქ ხორციელდება ფსიქოლოგიის სხვა სფეროთა პრინციპული მოსაზრებების სინთეზირებისა და ინტეგრირების მცდელობები. მაგალითად, აღქმის ფსიქოლოგია შეისწავლის დაკვირვებადი გარე სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის საფუძველში მყოფ ძირითად სტრუქტურებსა და პროცესებს. აღქმის კვლევა მკაფიო საყრდენი პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობს. იგივე შეიძლება ითქვას ფსიქოლოგიის სხვა სფეროების შესახებაც, იქნება ეს დასწავლა, მოტივაცია თუ კოგნიტური ფსიქოლოგია. მაგრამ სწორედ პიროვნების შესწავლისას ახდენენ მკვლევარები ამ პრინციპების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, ესწრაფვიან რა ადამიანის, როგორც ინტეგრირებული მთლიანის, გაგებას.

ადამიანის ქცევის გაგება, მთელი მისი მრავალ განზომილებიანობით, რთული ამოცანაა. ხშირად ორი ინდივიდის ერთნაირ ქცევას ერთსა და იმავე დროს ანდა ერთი ადამიანის ქცევას სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზები აქვს. მაგალითად, შევადაროთ ორი ადამიანის მოტივაცია, რომელიც აბორტების წინააღმდეგ აქციაში მონაწილეობს. შესაძლებელია, რომ ერთს რელიგიური გრძნობები ამოძრავებდეს, მეორეს კი – მხოლოდ ახალი მძაფრი განცდების მიღების სურვილი. ინტერპრეტაციის სირთულეს ისიც ქმნის, რომ ქცევას საფუძვლად ორი ფაქტორი უდევს: შინაგანი მიზეზები და სიტუაცია, რომელშიც ქცევა ხორციელდება. ამასთან, ადამიანები ზოგჯერ ვერც კი ხსნიან, თუ რატომ იქცევიან სწორედ ასე და არა სხვაგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მათი განზრახვები შეიძლება სრულიად გასაგებად გამოიყურებოდეს. ადამიანის ქცევის ეს და ბევრი სხვა გამოცანა მხოლოდ აძლიერებს თეზისს იმის შესახებ, რომ პიროვნების ფსიქოლოგია მაქსიმალურ სიზუსტეს უნდა ესწრაფვოდეს ყველაფერში, რაც ეხება ქცევის ანალიზს. უკიდურესად ზუსტი რომ იყოს, პერსონოლოგი უნდა ახდენდეს ზოგადი ფსიქოლოგიის ყველა პრინციპის ინტერპრეტირებას და ითვალისწინებდეს მათ შორის არსებულ ყველა დინამიკურ ურთიერთქმედებას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ არის აღქმა დამოკიდებული სწავლაზე, როგორ უკავშირდება სწავლა მოტივაციას, როგორ შეესატყვისება მოტივაცია განვითარებას და ა.შ. ყველა ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინდივიდუმის ქცევასა და განცდებს, თავსდება პერსონოლოგთა შესწავლის სფეროში.

ყველა ამ მოსაზრებას მივყავართ დასკვნამდე, რომ არ არსებობს ფსიქოლოგიური ცოდნის სხვა სფერო, სადაც ადგილი აქვს ასეთ მისწრაფებას მეცნიერული უნაკლობისკენ ("სისუფთავისკენ"), როგორიცაა პიროვნების სფერო. იგი წარმოადგენს სოციალური და ინტელექტუალური განვითარების, ფსიქოპათოლოგიისა და თვითრეალიზაციის, დასწავლისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების კვლევების, ასევე, სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ძაფის ურთიერთკვეთის წერტილს (ერთგვარ გზაჯვარედინს), რომლებიც ქმნიან თანამედროვე ფსიქოლოგიის ქსოვილს. ამ დისციპლინის ასეთი მოცულობითობა არც არის გასაკვირი, რადგანაც მისი შესწავლის ობიექტია, არც მეტი, არც ნაკლები, "მთლიანი ინდივიდუმი". ასეთი მნიშვნელოვანი მიზნის არსებობის პირობებში სრულიად სამართლიანია ვივარაუდოთ, რომ პიროვნების შესწავლა საკმაოდ გაბედული საქმიანობაა.

პიროვნების თეორია

რა არის თეორია

თეორია არის ურთიერთდაკავშირებულ იდეათა, კონსტრუქტთა და პრინციპთა სისტემა, რომლის მიზანია რეალობაზე განხორციელებული გარკვეული დაკვირვებების ახსნა. ეს არის დაუმტკიცებელი ჰიპოთეზა ანუ სპეკულაცია სინამდვილეზე, რომლის შესახებაც ჯერ არ არის ცნობილი ასეთია იგი თუ არა. დამტკიცებული თეორია გადაიქცევა ფაქტად.

თეორია არის თეორეტიკოსების მიერ შექმნილი პირობითობების კრებული ანუ თეორია არ არის "მოცემული" და არ არის განპირობებული ბუნებით, მონაცემებით ან სხვა დეტერმინანტებით. როგორც ერთმა და იმავე განცდამ ან დაკვირვებამ შეიძლება მიიყვანოს პოეტი ან რომანისტი სხვადასხვა ფორმის ხელოვნების ნიმუშთა შესაძლო ვარიანტებიდან ნებისმიერის შექმნამდე, ისე კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეიძლება ჩართული იყოს ნებისმიერში მრავალრიცხოვანი თეორიული სქემებიდან. ირჩევს რა მისთვის საინტერესო მოვლენების პრეზენტაციის ხერხს, თეორეტიკოსი ახორციელებს თავისუფალ შემოქმედებით არჩევანს, რომელიც მხატვრის არჩევანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, თუ რა ტიპის მოვლენები აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში და რის საფუძველზეა შესაძლებელი არჩევანის ნაყოფიერებაზე მსჯელობა. აქ ხაზგასმულია თეორიის აგების შემოქმედებითი და თავისუფალი სტილი. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შენიშვნა, რომ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება თეორიის შეფასება, მაგრამ ვერ განვსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ ის. არ არსებობს ნაყოფიერი თეორიული კონსტრუქტის ფორმულა ისევე, როგორც არ არსებობს ფორმულა უკვდავი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის.

თეორია რომ არის არა რაღაც აუცილებელი და გამოწერილი, არამედ თავისუფალი არჩევანის შედეგი, ამაზე მოწმობს ის, რომ ჭეშმარიტობა-მცდარობა არასაკმარისი ატრიბუტია მის აღსაწერად. თეორია მხოლოდ შეიძლება იყოს სასარგებლო ან უსარგებლო. ეს კი იმისდა მიხედვით ირკვევა, თუ რამდენად ხელეწიფება მოცემულ თეორიას ისეთი პროგნოზებისა და პროექტების პროდუცირება ინტერესის სფეროში შემავალი მოვლენების შესახებ, რომელნიც ვერიფიკაციის (გადამოწმების) შემთხვევაში ადასტურებენ თავიანთ ჭეშმარიტობას.

თეორიის კომპონენტები

ახლა უფრო დაწვრილებით შევეხოთ იმას, თუ რას წარმოადგენს თეორია, რას მოიცავს მისი იდეალური ფორმა.

თეორია უნდა მოიცავდეს ერთმანეთთან სისტემატურად შესაბამისობაში მყოფ რელევანტურ დაშვებებს და ემპირიულ განსაზღვრებებს.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

- დაშვებები რელევანტური უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ უნდა ეყრდნობოდეს ემპირიულ მოვლენებს, რომელთაც მიესადაგება თეორია. მაგალითად, თუ გვაქვს სმენითი მგრძნობელობის თეორია, დაშვებები უნდა უკავშირდებოდეს სმენით პროცესებს; თუ გვაქვს აღქმის თეორია, დაშვებები უნდა ეხებოდეს პერცეპტუალურ პროცესებს. ჩვეულებრივ, ამ დაშვებათა ხასიათი

თეორიის განმასხვავებელ ნიშანს ქმნის. კარგი თეორეტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია სასარგებლო და შორსმჭვრეტელური ვარაუდების წამოყენება იმის შესახებ, რაც მის ინტერესთა სფეროში შედის. თეორიის თავისებურებისდა მიხედვით, ეს დაშვებები შეიძლება იყოს ძალზე ზოგადი ან საკმაოდ სპეციფიკური. ქცევის სფეროს თეორეტიკოსმა შეიძლება დაუშვას, რომ ყველა ქცევა მოტივირებულია; რომ ცხოვრების ადრეული პერიოდის მოვლენები მოზრდილის ქცევის მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია; რომ სხვადასხვა სახეობის ცხოველთა ქცევა იგება ერთი და იგივე ზოგადი პრინციპით; ანდა თეორეტიკოსმა შეიძლება დაუშვას, რომ შფოთვის მომატება იწვევს მოტორიკის დარღვევებს ან რომ ცალკეული ცვლადი ნორმალურადაა განაწილებული მოცემულ პოპულაციაში. ეს დაშვებები შეიძლება ფორმითაც განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან – ზუსტი მატემატიკური ნოტაციიდან შედარებით არამკაცრად ფორმულირებულ დაშვებებამდე, როგორიცაა ზემოთ მოყვანილ მაგალითთა უმრავლესობა.

- დაშვებები მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; დაშვებები და თეორიის სხვა ელემენტები გარკვეული სახით უნდა მიესადაგებოდეს და შეესატყვისებოდეს ერთმანეთს ანუ უნდა არსებობდეს დაშვებებისა და ძირითადი ცნებების ურთიერთქმედების წესები. თუ ეს შინაგანი დამოკიდებულებები ნათელი და მკაფიო იქნება, თეორია ლოგიკურად გამართულ სახეს მიიღებს და შესაძლებელი იქნება დერივაციის პროცესები. ასეთი დაზუსტების გარეშე რთული ან შეუძლებელი იქნებოდა თეორიიდან ემპირიული შედეგების მიღება. ამ საკითხებს განიხილავენ, როგორც თეორიის სინტაქსს, რადგანაც ჰგავს გრამატიკის წესებს. მაგალითად, უკვე ვახსენეთ დაშვება იმის შესახებ, რომ შფოთვის მომატებას მივყავართ მოტორიკის დარღვევამდე. ამის გარდა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თვითპატივისცემის ამაღლებას მივყავართ მოტორიკის გაუმჯობესებისკენ. თუ ჩვენ მეტი არაფერი ვიცით, ამ ორ დაშვებას შორის მიმართება აშკარად ბუნდოვანია და არ არის განსაზღვრული. ამიტომ ჯერ რაიმე უნდა დავადგინოთ, მოვიძიოთ ინფორმაცია შფოთვასა და თვითპატივისცემის კავშირის შესახებ და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი გარკვეული პროგნოზის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა მოხდება, როცა ორივე ცვლადი ერთად იჩენს თავს. თეორიული დაშვებების ადეკვატური დალაგება მომხმარებელს ნათელ სპეციფიკაციას უნდა აწვდიდეს ამ ორი დაშვებების ურთიერთმიმართების შესახებ.
- ემპირიული განსაზღვრებები (მაკოორდინირებელი განსაზღვრებები) უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, თეორიის ფარგლებში არსებულ ტერმინთა და ცნებათა და, მეორე მხრივ, ემპირიულ მონაცემებს შორის მეტ-ნაკლებად ნათელი ურთიერთქმედების საშუალებას. ამ განსაზღვრებების საშუალებით გარკვეულ მომენტებში თეორია კონტაქტში მოდის რეალობასთან და დაკვირვების მონაცემებთან. ამ განსაზღვრებებს ხშირად ოპერაციულ განსაზღვრებებს უწოდებენ, რადგანაც იმ ოპერაციების განსაზღვრის საშუალებას იძლევიან, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება შესაბამისი ცვლადების გაზომვა. ემპირიულ განსაზღვრებებზე აქცენტი კვლევა-ძიებით განზრახვებზე მიუთითებს და შეიძლება ითქვას, რომ თუ თეორიას რაღაც წვლილი შეაქვს ემპირიულ დისციპლინაში, ის ემპირიული ტრანსლაციის გარკვეულ საშუალებებს უნდა ფლობდეს. მეორე

მხრივ, ცხადია, რომ არსებობს ამ გამსაზღვრებათა კონტინუუმი სრული და ზუსტი კლასიფიკაციებიდან ძალზე ზოგად თვისობრივ მტკიცებულებებამდე. თუმცა, რაც მეტია მკაფიოობა, მით უკეთესი, მაგრამ კვლევის ადრეულ ეტაპებზე სრული მკაფიოობის მოთხოვნა შეიძლება მისი ნაყოფიერი განვითარების შემაფერხებელი გახდეს. მაგალითად, ინტელექტის განსაზღვრა, როგორც "იმის, რასაც ზომავს ინტელექტის ტესტი" ანდა შფოთვის გაიგივება გალვანომეტრით გაზომვად გარკვეულ ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან შეიძლება ზუსტია, მაგრამ არც ერთს თავისთავად არ მივყავართ უფრო პროდუქტულ კვლევით აზრამდე. ემპირიული განსაზღვრებებისადმი სწორი დამოკიდებულება გულისხმობს, რომ ისინი იმდენად ზუსტი უნდა იყოს, რამდენადაც იძლევა ამის საშუალებას საქმის ვითარება შესაბამის სფეროში.

თეორიის ფუნქციები

მოკლედ განვიხილეთ, თუ რისგან შედგება თეორია. ახლა დგება შემდეგი საკითხი: რას აკეთებს თეორია? რა ფუნქციები აქვს მას?

- რაც ყველაზე მთავარია, *თეორია იძლევა მანამდე დაკვირვებისთვის მიუწვდომელი (არათვალსაჩინო) შესაბამისი ემპირიული დამოკიდებულებების დანახვის საშუალებას.* თეორიას უნდა მივყავდეთ ცოდნის სისტემატურ ექსპანსიამდე ჩვენთვის საინტერესო ფენომენთა სფეროში და იდეალში ეს ექსპანსია გაშუალებული და სტიმულირებული უნდა იქნეს თეორიიდან გარკვეული ემპირიული მდგომარეობების (დებულებების, ჰიპოთეზების, პროგნოზების) გამოყვანით, რომელიც ემპირიული შემოწმების ობიექტს წარმოადგენს. ნებისმიერი გამოკვლევის არსი მოვლენებსა და ცვლადებს შორის სტაბილური ემპირიული კავშირების აღმოჩენაა. თეორიის ფუნქციაა ამ პროცესის სისტემატური ხელშეწყობა. თეორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი წისქვილი, რომელშიც იფქვევა ვარაუდები, ფქვილის ანალოგი კი შესაბამისი ემპირიული დებულებებია, რომლებიც შემდგომში დადასტურდება ან უარიყოფა შესატყვისი ემპირიული მონაცემების კონტექსტში.
- *თეორია იძლევა უკვე ცნობილი ემპირიული მონაცემების ლოგიკურად და თანმამდევრული და მისაღებად მარტივი სისტემის ფარგლებში დალაგების საშუალებას.* თეორია წარმოადგენს ყველაფრის ორგანიზაციისა და ინტეგრაციის საშუალებას, რაც მიეკუთვნება მოვლენათა გარკვეულ წრეს. მაგალითად, ფსიქოტური ქცევის ადეკვატურ თეორიას უნდა შეეძლოს მთელი იმ ინფორმაციის სისტემატიზირება გასაგებ და ლოგიკურ კონსტრუქციაში, რაც უკვე ცნობილია შიზოფრენიისა და სხვა ფსიქოზების შესახებ. დასწავლის დამაკმაყოფილებელი თეორია უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას, რაც შეეხება დასწავლის პროცესს. თეორია ყოველთვის წარმოიქმნება უკვე დაკვირვებადისა და ცნობილის ბაზაზე; ამ თვალსაზრისით, ჩამოყალიბების პირველ ფაზაზე ის ინდუქციურია და ხელმძღვანელობს და გარკვეულწილად კონტროლდება იმით, რაც უკვე ცნობილია. თუმცა, თუ თეორია მხოლოდ ალაგებს და ათანხმებს უკვე ცნობილს და მეტს არაფერს აკეთებს, მისგან სარგებელი ნაკლებია.

- *თეორია იცავს დამკვირვებელს გვერდითი ან კერძო მოვლენების მრავალფეროვნებისგან.* თეორია წარმოადგენს ერთგვარ ფილტრს, საფარს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად არ ვიფიქროთ შესასწავლი მოვლენის ყველა ასპექტზე. გამოუცდელი დამკვირვებლისათვის ყოველი საკმარისად რთული ქცევითი მოვლენა ანალიზისა და აღწერის მრავალ ხერხს გულისხმობს და ეს მართლაც ასეა. თეორია დამკვირვებელს საშუალებას აძლევს სისტემატურად და ქმედითად, ნაყოფიერად მოახერხოს ბუნებრივი სირთულისგან აბსტრაგირება. თეორია მომხმარებელს ზღუდავს პრინციპული მნიშვნელობის მქონე მეტ-ნაკლებად განსაზღვრული პარამეტრებით, სიდიდეებითა და ცვლადებით. ამ პრობლემის თვალსაზრისით, შესაძლებელია სიტუაციის დანარჩენი ასპექტების ამა თუ იმ ხასისხით იგნორირება.

რა არის პიროვნების თეორია

დღესდღეობით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი მიდგომა უნდა გამოიყენონ პერსონოლოგებმა პიროვნების შესწავლისას ადამიანის ქცევის ძირითადი ასპექტების ახსნისათვის. ფაქტიურად, პერსონოლოგიის განვითარების მოცემულ ეტაპზე თანაარსებობს სხვადასხვა ალტერნატიული თეორიები, რომლებიც პიროვნებას აღწერენ, როგორც ინტეგრირებულ მთლიანს და, ამასთან, ცდილობენ ადამიანთა შორის არსებული განსხვავებების ახსნას. ამიტომ სანამ გადავალთ კონკრეტული თეორიების ან მიმართულებების განხილვაზე, მიზანშეწონილია გავეცნოთ, თუ რას წარმოადგენს ზოგადად პიროვნების თეორია, რა ფუნქციები აკისრია მას და რას მოიცავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეორია, ზოგადად, არის ურთიერთდაკავშირებულ იდეათა, პრინციპთა და კონსტრუქციათა სისტემა, რომლის მიზანია სინამდვილეზე განხორციელებულ გარკვეულ დაკვირვებათა ახსნა. მეცნიერულ სამყაროში თეორია მთლიანობაში დასაბუთებულად და სანდოდ ითვლება იმდენად, რამდენადაც ფენომენზე დაკვირვების შედეგები შეესატყვისება (თანხმობაში მოდის) ამავე ფენომენის თავად თეორიაში მოცემულ ახსნას. ადამიანის ქცევა რომ სრულიად გასაგები იყოს საღი აზრის პოზიციიდან, საჭირო არ გახდებოდა პიროვნების თეორიის შექმნა.

პიროვნების თეორია – ეს არის სახელდახელოდ გამოტანილი დასკვნების ან ჰიპოთეზების ერთობლიობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები, როგორ იქცევიან და რატომ იქცევიან ისინი სწორედ ასე და არა სხვაგვარად.

პიროვნების თეორიის ფუნქციები

პიროვნების თეორიები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებენ: ისინი ხსნიან და პროგნოზირებენ ქცევას.

ახსნა

პიროვნების თეორია ახსნითია იმ თვალსაზრისით, რომ მასში ქცევა აღწერილია, როგორც გარკვეული სახით ორგანიზებული, რაც გასაგებს ხდის მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეორია უზრუნველყოფს აზრობრივ სურათს ან სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა გავამარტივოთ და ავხსნათ (მოვახდინოთ ინტერპრეტირება) ყველაფერი, რაც ცნობილია ჩვენთვის მოვლენათა მოცემული კლასის შესახებ. მაგალითად, თეორიის დახმარების გარეშე ძნელი იქნებოდა იმის ახსნა, თუ რატომ განიცდის 5 წლის ბიჭუნა ძლიერ რომანტიულ მიჯაჭვულობას დედაზე და, ამასთანავე, უსაზღვრო უკმაყოფილებასა და რისხვას მამის მიმართ. პრობლემის სიმძაფრე მოიკლებს, თუ გავიგებთ, რომ ამ ასაკში სხვა ბიჭებსაც ახასიათებთ მსგავსი გრძნობები; ხოლო თუ დავიხმართ თეორიას, რომელიც ასეთ გრძნობებს პიროვნების განვითარების გარკვეულ სტადიას მიაკუთვნებს და თან გვაძლევს ამ ემოციათა აღმოცენების მიზეზების ახსნას, ჩვენ შევძლებთ, უკეთესად გავუგოთ ამ ბიჭუნას. ჩვენ შეიძლება მართალნი ან მცდარნი აღმოვჩნდეთ, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, მივაღწევთ თანხმობას ბავშვების ზოგიერთი გრძნობის გაგების თაობაზე.

თეორიის ახსნითი ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ხელთ გვაქვს დიდი რაოდენობით ფაქტები და დაკვირვებები მოცემული ქცევის შესახებ. კარგი პიროვნების თეორია უზრუნველყოფს აზრობრივ კონტექსტს, რომელშიც შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის შეთანხმებულად აღწერა და ინტერპრეტირება.

პროგნოზირება

თეორია არა მარტო ხსნის წარსულისა და აწმყოს ფაქტებს, არამედ პროგნოზირებს მომავალს. მან უნდა უზრუნველყოს იმ შედეგთა და მოვლენათა პროგნოზირების საფუძველი, რომელიც ჯერ არ მომხდარა, არ განხორციელებულა. ეს მიზანი აშკარად გულისხმობს, რომ თეორიული კონცეფციები არა მარტო ღია უნდა იყოს გადამოწმებისთვის, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ ის შეიძლება დადასტურდეს ან არ დადასტურდეს. ანუ ჩვენ უნდა შეგვეძლოს გარკვეული ცვლილებების პროგნოზირება ბიჭუნას ქცევაში, რომელიც მშობლებისეული აღზრდის ფუნქციას წარმოადგენს (ანუ შეგვეძლოს ბიჭუნას ქცევაში აღზრდის შედეგად მომხდარი ცვლილებების პროგნოზირება). მაგალითად, რა იქნება, თუ დედა აქტიურად წაახალისებს შვილის რომანტიულ გრძნობებს ანდა მამა უარყოფს შვილს იმის გამო, რომ იგი მასზე ბრაზდება? ამგვარი პროგნოზები არა მარტო შესაძლებელი უნდა იყოს, არამედ იდეალში თეორიული კონცეფცია იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არსებობდეს მკაცრი და ზუსტი ემპირიული შემოწმების საშუალება. კარგი პიროვნების თეორია პირდაპირ იძლევა ფსიქოლოგიური კვლევის სტიმულს და, პირიქით, შეუმოწმებელი თეორიის (ანუ ისეთის, რომლის საფუძველზეც შეუძლებელია შემდგომი

კვლევებისთვის პროგნოზის გაკეთება) მეცნიერული ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. თეორიას უნდა ჰქონდეს კვლევის იმპულსი, თუ მას პრეტენზია აქვს, რომ ხელს უწყობს ადამიანის ბუნების, ყველა მისი განუმეორებელი ინდივიდუალური გამოვლინების გაგებას.

ꙮ○ꙮ

ამრიგად, პიროვნების თეორიებს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს ფსიქოლოგიაში: ისინი საშუალებას გვაძლევენ ავხსნათ, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები ანუ გამოვავლინოთ შედარებით მდგრადი პიროვნული მასახიათებლები და მათი ურთიერთკავშირის გზები; გავიგოთ, თუ როგორ ვითარდება ეს მახასიათებლები დროში და რატომ იქცევიან ადამიანები გარკვეული სახით. თეორიები, ასევე, იძლევიან ადრე შეუსწავლელი, ახალი ურთიერთკავშირების წარმოქმნის პროგნოზირების საშუალებას. პროგნოზირების ფუნქციის თვალსაზრისით, თეორიები სახავენ იმ მიმართულებებს, რითაც გეგმიური კვლევებით ახალ აღმოჩენებამდე მივალთ აქამდე უცნობ მრავალ სფეროში.

თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადამიანის ქცევის შესახებ არსებული ყველა თეორია ისევ ადამიანების მიერაა შექმნილი. პერსონოლოგები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და სხვების მსგავსად აქვთ სხვადასხვა შეხედულებები ადამიანის ბუნებაზე. მაგალითად, ზოგიერთი თეორეტიკოსი დარწმუნებულია, რომ ადამიანთა ქცევების ფესვები ღრმად არაცნობიერ მოტივებშია, რომელთა ჭეშმარიტ ბუნებას ვერ აცნობიერებს ინდივიდი, ხოლო მოტივაციის წყაროები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ზოგიერთი კი ვარაუდობს, რომ ადამიანები მნიშვნელოვნად აცნობიერებენ თავიანთ მოტივებს, ხოლო მათი ქცევა, პირველ რიგში, აქტუალური გარემოებების შედეგია. პიროვნების თეირიათა ამოსავალი პრინციპები მომდინარეობს მოცემული პერსონოლოგის წარმოდგენებიდან ადამიანის შესახებ. ეს მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისგან და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულია შედეგად მიღებული თეორიებიც.

პიროვნების თეორიები და სხვა ფსიქოლოგიური თეორიები

პიროვნების თეორია უნდა მოიცავდეს მთელ რიგ დაშვებებს ადამიანის ქცევის შესახებ და წესებს, რომლითაც ეს დაშვებები უკავშირდება განსაზღვრებებს, რაც იძლევა მათი ურთიერთქმედების საშუალებას ემპირიულ ან დაკვირვებად მოვლენებთან. აქ დგება საკითხი: განსხვავდება თუ არა ამ განსაზღვრებათა თვალსაზრისით პიროვნების თეორიები სხვა თეორიებისგან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დაწყება მიზანშეწონილია ორი ტიპის ფსიქოლოგიური თეორიების განსხვავებით.

ცხადია, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური თეორია მზად არის განიხილოს ნებისმიერი ქცევითი მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის რეგულაციის თვალსაზრისით. სხვა თეორიები მკვეთრად არის შეზღუდული იმ ქცევითი გამოვლინებებით, რომელიც ხორციელდება დეტალურად აღწერილ პირობებში. ასეთ თეორიათა ინტერესის სფერო შემოიფარგლება ადამიანის ქცევის გარკვეული (შეზღუდული ოდენობის) ასპექტებით. თეორიებს, რომელნიც ცდილობენ შეეხონ ყველა მნიშვნელოვან ქცევით ფენომენს, ქცევის ზოგად თეორიებს უწოდებენ, ხოლო თეორიებს, რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს ქცევითი მოვლენების გარკვეული ტიპი, _ კერძო თეორიებს.

ცხადია, რომ პიროვნების თეორიები პირველ კატეგორიას მიეკუთვნება; პიროვნების თეორია ქცევის ზოგადი თეორიაა. მარტივი დაკვირვებით შეიძლება განვასხვავოთ პიროვნების თეორია სხვა ფსიქოლოგიური თეორიისგან. მაგალითად, პერცეფციის, სმენითი მგრძნობელობის, მექანიკური მეხსიერების, მოტორული დასწავლის და სხვა მრავალი ფსიქოლოგიური თეორია კერძოა მათი მოცულობისა და სიფართოვის თვალსაზრისით. ამ თეორიებს არ აქვთ პრეტენზია ზოგადი თეორიის სტატუსზე და იმ წარმოდგენების განვითარებით კმაყოფილდებიან, რომელიც გამოსადეგია ქცევითი მოვლენების გარკვეულ სფეროში აღწერისა და პროგნოზირებისთვის. პიროვნების თეორიები კი ცდილობენ განიხილონ მრავალფეროვანი ბუნების მოვლენები იმდენად, რამდენადაც ამ მოვლენებს ინდივიდისთვის ფუნქციონალური მნიშვნელობა აქვთ.

დგება საკითხი: არსებობს თუ არა ქცევის ისეთი ზოგადი თეორია, რომელიც არ მიეკუთვნება პიროვნების თეორიებს. მაგალითად, ასეთი კითხვა შეიძლება გაჩნდეს მოტივაციის თეორიის მიმართ, რომელიც ქცევის ზოგად თეორიად შეიძლება მივიჩნიოთ და არ მივაკუთვნოთ პიროვნების თეორიებს. რეალურად, თუ თეორიას საქმე აქვს მხოლოდ მოტივაციურ პროცესებთან, ის ვერ იქნება (და არც არის) ზოგადი თეორია, თუმცა, ფაქტიურად, მოტივაციის თეორიებად წოდებული თეორიები, ჩვეულებრივ, პიროვნების თეორიებიც არის, მაგალითად, ფსიქოანალიზი, ჰორმიული ფსიქოლოგია, მიურეის თეორია. ამრიგად, თუ თეორია ეხება მხოლოდ მოტივაციას, ეს კერძო თეორიაა; თუ ის მოვლენათა უფრო ფართო წრეს მოიცავს, ეს ერთ-ერთი ტიპის პიროვნების თეორიაა.

ანალოგიური კითხვა შეიძლება გაჩნდეს დასწავლის თეორიის მიმართ, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება წარმატებით განვაზოგადოთ ისე, რომ შეიქმნას ქცევის ზოგადი თეორია. ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა და ზოგიერთმა თეორეტიკოსმა სცადა კიდეც იმგვარად განეზოგადებინა დასწავლის თეორიები, რომ თავისი სიფართოვის მიხედვით ქცევის ნებისმიერი ზოგადი თეორიის ტოლფასი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევებში დასწავლის თეორია აღარ არის მხოლოდ დასწავლის თეორია და გადაიქცევა პიროვნების თეორიად ანდა ქცევის ზოგად თეორიად. მართალია, ასეთ გენერალიზირებულ მოდელებს გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები აქვთ, რომელიც მიგვითითებს მათ პირველწყაროებზე, მაგრამ ინტენციითა (მიმართულებითა) და ლოგიკური თვისებებით არ განსხვავდებიან სხვა პიროვნების თეორიებისგან.

პიროვნების თეორიის შეფასების კრიტერიუმები

ბუნებრივად დგება საკითხი: მრავალრიცხოვანი ალტერნატიული პიროვნების თეორიების არსებობის პირობებში როგორ უნდა შევაფასოთ თითოეული მათგანის შედარებითი ღირსებები? მათი ახსნითი და პროგნოსტული ფუნქციის განხილვის გარდა, როგორ უნდა გადავწყვიტოთ, რითი სჯობია ერთი თეორია მეორეს? პიროვნების თეორიის სისტემატიზირებული შეფასებისთვის გამოიყენება ექვსი ძირითადი კრიტერიუმი. მეცნიერულ საზოგადოებაში მიღწეულია კონსენსუსი პიროვნების თეორიის შეფასების შესახებ: ის დადებითად ფასდება მხოლოდ მაშინ, როცა აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს.

ვერიფიცირებადობა (შემოწმებადობა)

ამ კრიტერიუმის მიხედვით თეორია მით მეტად ფასდება პოზიტიურად, რაც უფრო ღიაა მისი დებულებები დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ განხორციელებული შემოწმებისათვის. ეს ნიშნავს, რომ თეორია ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მასში მოცემული კონცეფციები, დებულებები და ჰიპოთეზები ნათლად და არაორაზროვნად გადმოცემული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული უნდა იყოს. თეორიის ამ სახით მოწოდების შემთხვევაში მისი ემპირიული დასკვნები ადვილად საბუთდება ლოგიკურად და მოწმდება ფორმალური კვლევით. მაგალითისთვის, ვთქვათ, გვინდა ადლერის მოსაზრებათა დასაბუთება იმის შესახებ, რომ ოჯახში დაბადების რიგის მიხედვით პირველ შვილს მოზრდილობაში უფრო მეტად აქვს გამოკვეთილი მიღწევის მოტივაცია, ვიდრე რიგით მეორეს, მესამეს და ა.შ. შვილებს. ჰიპოთეზის დასაბუთების პირველი საფეხური იქნება გამოკვლევისთვის რელევანტურ სუბიექტთა ჯგუფის შერჩევა. შემდეგ უნდა გავარკვიოთ, დაბადების რიგის მიხედვით მერამდენე შვილია ოჯახში თითოეული ცდის პირი. გაცილებით რთულია ისეთი ცვლადის გაზომვა, როგორიცაა მიღწევა. შეიძლება უბრალოდ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებით შევაფასოთ მათი ინტელექტუალური მიღწევების დონე; შეიძლება დავაკვირდეთ სწავლის პერიოდში წარმატებისკენ მათ მისწრაფებას; ანდა შევადგენინოთ თვითანგარიში, რაც მიღწევის მოტივაციის მიხედვით ინდივიდუალურ განსხვავებათა შეფასების საშუალებას მოგვცემს. შესაძლებლობათა მრავალფეროვნების პირობებში აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მომენტი: კარგი თეორია შემოწმებად ჰიპოთეზებს უნდა გამოიმუშავებდეს. რაც უფრო ზუსტი ენით არის თეორია მოცემული, მით უფრო იოლია ამ პირობის შესრულება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა ადვილი გასაგებია, პერსონოლოგებს ძალზე უძნელდებათ ხოლმე თავიანთი თეორიული პოზიციების თუნდაც ზომიერი (საშუალო) ემპირიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნების თეორიებს არ ძალუძთ შემოწმებადი ჰიპოთეზების პროდუცირება, მაგრამ თეორიულ კონცეფციათა უმრავლესობას მაინც აკლია კრიტიკული ექსპერიმენტი. და მაინც, კარგი თეორია უნდა მოიცავდეს შემოწმებად ჰიპოთეზებს ფენომენთა ურთიერთკავშირის შესახებ. თეორია, რომლის დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია, ცუდი თეორიაა; ის უსარგებლოა ნებისმიერი პრაქტიკული მიზნისათვის.

ევრისტიკული ღირებულება

ემპირიული ორიენტაციის ფსიქოლოგისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად აძლევს თეორია სტიმულს მეცნიერებს შემდგომი კვლევების წარმოებისათვის. პიროვნების თეორიები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარის მიხედვით. პიროვნების ყველაზე საკამათო განსაზღვრებებიდან ზოგიერთი, როგორიცაა მაგალითად, ერიხ ფრომის ჰუმანისტური თეორია და ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების თეორია, მინიმალურ იმპულსს იძლევა შემდგომი კვლევითი აქტივობისათვის თავად ფსიქოლოგიის ფარგლებში. ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, იმის შედეგია, რომ თეორეტიკოსი ვერ

ახერხებს თავისი კონცეფციების სამუშაო განსაზღვრებების მოცემას ანუ ვერ ადგენს, თუ რა ოპერაციებით შეიძლება მათი შეცვლა ან ქცევის რომელ დაკვირვებად მახასიათებლებს შეესატყვისებიან ისინი. ცხადია, სახელოვანი თეორეტიკოსის კომპეტენტურ მკვლევარებს შეუძლიათ აამაღლონ თეორიის ევრისტიკული ღირებულება ბაზისური კონცეფციების ისეთ ფორმაში გადაყვანით, რომელიც ძიებითი აქტივობის ბიძგს იძლევა.

შინაგანი შეთანხმებულობა

ეს კრიტერიუმი გულისხმობს შემდეგ პირობას: თეორია თავისუფალი უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობებისგან ანუ კარგი თეორია შინაგანად ლოგიკური მეთოდით უნდა ხსნიდეს ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოსულ ფენომენებს. ასევე, საყურადღებო თეორია ერთმანეთთან თანმიმდევრულად შეთანხმებული დებულებებისა და განსაზღვრებებისგან უნდა შედგებოდეს. მთლიანობაში, პიროვნების თეორიები სრულიად აკმაყოფილებენ ამ სტანდარტს და თუ მაინც ვაწყდებით ერთმანეთისადმი წინააღმდეგობრივ პროგნოზებს, ამის სათავე, ჩვეულებრივ, მკვლევარის მიერ ბაზისური მოსაზრებების ბოლომდე ვერ გაგებაა ხოლმე. თუ გვაქვს ადამიანის ბუნების შესახებ ჰიპოთეზების რიგი, სრულიად შესაძლებელია პიროვნების ისეთი თეორიის აგება, რომელშიც კონცეფციები და დებულებები ლოგიკურად იქნება ერთმანეთთან შეთანხმებული.

ეკონომიურობა

თეორია შეიძლება შევაფასოთ ამ თეორიის სფეროში მოთავსებული მოვლენების აღწერისა და ახსნისთვის საჭირო კონცეფციების რაოდენობის მიხედვით. ეკონომიურობის პრინციპის მიხედვით უპირატესობა შედარებით მარტივ და მკაფიო ახსნებს უფრო ენიჭება, ვიდრე რთულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო ნაკლები კონცეფციები და ვარაუდები სჭირდება თეორიას ამა თუ იმ ფენომენის ასახსნელად, მით უკეთესია იგი და, პირიქით, სხვა თითქმის თანაბარ პირობებში, ჭარბი რაოდენობის კონცეფციათა და ვარაუდთა მომცველი თეორია მთლიანობაში განიხილება, როგორც წარუმატებელი. შემდეგი მაგალითი დაგვეხმარება ამ კრიტერიუმის მნიშვნელოვნობის უკეთ გაგებაში. ვთქვათ, დიდი რაოდენობის დაკვირვებების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ დეპრესიულ მდგომარეობაში ადამიანები:

— ჩვეულებრივ, ნეგატიურად აფასებენ საკუთარ თავს;
— პესიმისტურად აფასებენ მომავალს;
— აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილების ნეგატიურად ინტერპრეტირების ტენდენცია.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ დეპრესიის პირველმიზეზია დაბალი თვითშეფასება. ჩვენი ჰიპოთეზა მოკლედ აჯამებს დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დიდი რაოდენობით გამოკვლევების შედეგებს. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტებისა და დეპრესიულ ადამიანებზე დაკვირვებების ახსნის უფრო ეკონომიურ გზას.

სამწუხაროდ, არ არსებობს თეორიის ეკონომიურობის შეფასების მარტივი და ერთმნიშვნელოვანი წესები. ეკონომიურობა სუბიექტური კრიტერიუმია, რამდენადაც დღესდღეობით არსებული ცოდნა პიროვნების სხვადასხვა ასპექტების შესახებ შორსაა სისრულისგან. მეტიც, დღეისათვის ეკონომიურად მიჩნეულმა თეორიამ შეიძლება ვერ ახსნას შემდგომი აღმოჩენები. მიუხედავად ამისა, კარგი თეორია არ უნდა მოიცავდეს ჭარბ თეორიულ ტვირთს.

მოცულობის დიაპაზონი (შესასწავლ მოვლენათა დიაპაზონის სიფართოვე)

ეს კრიტერიუმი იმ ფენომენთა სიფართოვესა და მრავალფეროვნებას შეეხება, რომელსაც მოიცავს თეორია. რაც უფრო მრავალმხრივია თეორია, ქცევითი გამოვლინებების მით უფრო დიდ სფეროზე ვრცელდება ის. ამგვარად, უპირატესობა ყოველმხრივ თეორიას ენიჭება ვიწროსა და შეზღუდულთან შედარებით. ყოველმხრივი თეორიის კიდევ ერთი ღირსებაა, რომ ის შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც კარკასი დაკვირვებით ან ექსპერიმენტით დადგენილი ახალი, განსხვავებული ფაქტების ახსნისა და ინტერგრაციისთვის. ზოგი პესონოლოგი ფართო მასშტაბიან თეორიას ქმნის, ზოგიც ვერ ახერხებს ამას. ადამიანის ბუნების შესახებ დებულებათა გარკვეულ რიგზე დაყრდნობა უზრუნველყოფს შინაგან შეთანხმებულობას, მაგრამ ამის პარალელურად იწვევს თეორეტიკოსის მეცნიერული ინტერესის სფეროს შევიწროებას ქცევითი რეაქციების შეზღუდულ დიაპაზონამდე.

ადამიანის ქცევის ახსნისას პერსონოლოგები ყველაზე მეტ მნიშვნელობას ბიოლოგიურ, გენეტიკურ, ემოციურ, კოგნიტურ, სოციალურ ან კულტურულ ფაქტორებს ანიჭებენ. თითოეულ ამ მიდგომას პიროვნებისადმი უცილობლად მივყავართ თეორიის შეზღუდვამდე მოცულობის დიაპაზონის კრიტერიუმის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი არსებული თეორია ვერ ახსნის ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტს. ამგვარად, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადავწყვიტოთ, ერთ თეორიაში ახსნილი ფენომენები ისეთივე მნიშვნელოვანია და ისეთსავე არსებით როლს ასრულებენ ადამიანის ქცევის გაგებაში თუ არა, როგორსაც ის ფენომენები, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს მეორე თეორია.

სამწუხაროდ, არ არსებობს ინდიკატორი, რომელიც დაადგენდა თითოეული თეორიის ფარდობით მნიშვნელოვნობას, რადგანაც ხშირად არ ვიცით, რეალურად რამდენად არსებითია მოცემული ფენომენი ქცევის გაგებისათვის.

ფუნქციონალური მნიშვნელობა

კარგი თეორიის განსაზღვრის ბოლო კრიტერიუმია ის, თუ რამდენად შეუძლია მის დაეხმაროს ადამიანებს მათი ყოველდღიური ქცევის გაგებაში. თეორია, ასევე, ადამიანებს პრობლემების გადაჭრაში უნდა ეხმარებოდეს. სრულიად ბუნებრივია, რომ გვიზიდავს საკუთარი თავისა და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა შესახებ რაც შეიძლება მეტის ცოდნის საშუალება. მართლაც, არაპროფესიონალისთვის პიროვნების თეორიის ძირითად ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ თეორიას შეუძლია ნათელი მოჰფინოს თავად მას და მის ინტერპერსონალურ ურთიერთობებს.

შინაგანი და გარეგანი კანონზომიერების ცოდნა, რომელიც პიროვნების კვლევით არის მიღებული, მნიშვნელოვნად ამდიდრებს ადამიანის ქცევის ნიუანსების გაგებასა და შეფასებას.

ꕥ○ꕥ

განხილული კრიტერიუმები – შემოწმებადობა, ევრისტიკული ღირებულება, შინაგანი შეთანხმებულობა, ეკონომიურობა, მოცულობის დიაპაზონი და ფუნქციონალური მნიშვნელოვნობა – წარმოადგენს თითოეული პიროვნების თეორიის შეფასების საფუძველს და, ასევე, იძლევა იმის გაგების საშუალებას, თუ რატომ ენიჭება ერთ თეორიას უპირატესობა მეორესთან შედარებით. თუმცა, თეორიების ღირსებებისა და ნაკლოვანებების შედარებისას უნდა გადაიჭრას ორი საკითხი:

1. შეეხება თუ არა შესადარებელი თეორიები ერთსა და იმავე ფენომენებს? ქცევის ერთსა და იმავე ფორმებზე ორიენტირებული ორი თეორიიდან თითოეული შეიძლება შეფასდეს ჩამოთვლილი ექვსი კრიტერიუმით. ამავე დროს, არ არის აუცილებელი, რომ უსათუოდ ამოვირჩიოთ რომელიმე, რადგანაც მომავალში ორივე შეიძლება გახდეს ნაყოფიერი იდეების წყარო. ასევე, არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს ორი თეორია დროთა განმავლობაში ერთ უფრო ზოგად თეორიაში აღმოჩნდეს ინტეგრირებული.

2. იმყოფება თუ არა ორი შესადარებელი თეორია განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე? ახალმა და ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფმა თეორიამ შეიძლება ვერ ახსნას ბევრი ფენომენი, როცა ძველ, მყარ დაფუძნებულ თეორიას შეუძლია ნათელი მოჰფინოს პიროვნების შესწავლისას წამოჭრილ მრავალ საკითხსა და პრობლემას. და მაინც, ახალ თეორიას ხელეწიფება საგრძნობი წვლილი შეიტანოს ადრე შეუსწავლელი სფეროს დამუშავებაში და მომავალში მეტად მრავალმხრივი გახდეს.

საბოლოო ჯამში, თეორიები უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კარგად გადმოსცემენ ჩვენთვის უკვე ცნობილ მოვლენებს და, ამავე დროს, გვიტოვებენ თუ არა თავისუფლებას ჯერ კიდევ შეუსწავლელ შესაძლებლობათა გააზრებისათვის.

პიროვნების თეორიის კომპონენტები

პიროვნების თეორიის ახსნითი და პროგნოსტული ფუნქციების გარდა არსებობს ძირითადი საკითხები და პრობლემები, რომელთაც აყენებს თავად თეორია. მარტივად რომ ვთქვათ, პიროვნების თეორია შედგება მრავალი "მინითეორიისაგან", რომელთაგან თითოეული ფოკუსირდება ფსიქოლოგიაში განხილულ ცალკეულ საკითხზე ან თემაზე. ჩვენ განვიხილავთ ექვს ძირითად საკითხს, რომელთა გადაჭრასაც და სრულად მოწოდებასაც უნდა ესწრაფვოდეს სრული პიროვნების თეორია. ეს თემები წამოადგენს პიროვნების კონცეპტუალურ სფეროს – ისინი გვიჩვენებენ თეორიის შინაარსსა და მისი გამოყენების საზღვრებს.

პიროვნების სტრუქტურა

ნებისმიერი პიროვნების თეორიის ძირითადი ნიშანია სტრუქტურული კონცეფციები, რომელიც შეეხება სხვადასხვა სიტუაციებსა და სხვადასხვა დროში ადამიანების მიერ დემონსტრირებულ შედარებით უცვლელ მახასიათებლებს. ეს სტაბილური მახასიათებლები წარმოადგენენ ადამიანის ფსიქიკის ძირითად საშენ ერთეულს. ამ თვალსაზრისით, ისინი ანალოგიურია ისეთი ცნებებისა, როგორიცაა ატომი და უჯრედი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თუმცა, სტრუქტურული კონცეფციები თავისი ბუნებით მკაცრად ჰიპოთეტურია. მათი დანახვა შეუძლებელია მიკროსკოპში, ვთქვათ, ტვინის ნეირონის მსგავსად.

იმის ასახსნელად, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები, პერსონოლოგები გვთავაზობენ მრავალრიცხოვან კონცეფციათა ერთგვარ მოზაიკას. სტრუქტურის კონცეფციათა ორი ძირითადი სახე არსებობს:

პიროვნების ნიშანთა კონცეფცია

სტრუქტურის შტრიხთა ყველა კონცეფცია ამოდის დაშვებიდან, რომ პიროვნება არის ნიშნების (თრეიტების[1]) კრებული. ნიშანი განიხილება, როგორც მდგრადი თვისება ან ადამიანის მიდრეკილება გარკვეული სახის ქცევის, აზროვნების, გრძნობების, რეაქციების და ა.შ. განხორციელებისკენ. ადრეული თრეიტ-თეორიები დიდად არ განსხვავდებოდა განსაზღვრებათა სიისგან; პიროვნება განისაზღვრებოდა ამ ჩამონათვალით. აქ ადგილი აქვს გარკვეულ მსგავსებას არაპროფესიონალის მიერ მოცემულ განსაზღვრებასთან, როდესაც იგი მსჯელობს სხვა ადამიანების ყველაზე დამახასიათებელი ქცევითი რეაქციების შესახებ. პიროვნების ნიშანთა გავრცელებული მაგალითებია იმპულსურობა, პატიოსნება, მგრძნობიარობა, მორცხვობა. უფრო გვიანდელი მიდგომები იყენებენ ფაქტორულ ანალიზს და ცდილობენ პიროვნების ძირითადი განზომილებების გამოყოფას. აქ ყველაზე გავლენიანია კეტელის თეორია, რომელიც ეფუძნება საწყის ნიშანთა ცნებას. კეტელის აზრით, პიროვნების თეორიის მიზანია პიროვნების თრეიტთა ისეთნაირად ფორმულირებული მატრიცის შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს ქცევის პროგნოზირება. კეტელი, ოლპორტი და აიზენკი, პიროვნების შტრიხთა შესწავლის წამყვანი ავტორიტეტები, ვარაუდობდნენ, რომ პიროვნების სტრუქტურის სქემატურად წარმოდგენა უმჯობესია ქცევის საფუძველში მყოფი ჰიპოთეტური თვისებების ტერმინებით.

პიროვნების ტიპთა კონცეფცია

პიროვნების ტიპს უწოდებენ მრავალრიცხოვან განსხვავებულ შტრიხთა ერთობლიობას, რომელიც (ეს ერთობლიობა) წარმოადგენს მკაფიოდ შემოფარგლული საზღვრების მქონე დამოუკიდებელ კატეგორიას. პიროვნების შტრიხებით დაინტერესებული კონცეფციებისგან განსხვავებით, ასეთი კონცეფციები უფრო მდგრად და მეტად განზოგადებულ ქცევით მახასიათებლებს მოიაზრებენ. ადამიანები ხასიათდებიან რა სხვადასხვა ზომით გამოხატული მრავალი შტრიხით, მათ,

[1] *თრეიტ* – ინგლ. trait – ნიშანი, თავისებურება, შტრიხი, მახასიათებელი.

ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ტიპს მიაკუთვნებენ. მაგალითად, იუნგი ფიქრობდა, რომ ადამიანები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ინტროვერტებად და ექსტრავერტებად. ამ პოზიციიდან ნებისმიერი პიროვნება აუცილებლად ან ერთია, ან – მეორე.

ტიპთა კონცეფციებიდან უძველესია ჰიპოკრატეს თეორია – მოძღვრება ტემპერამენტის ტიპების შესახებ. იგი ასახელებს ოთხ ტიპს: ქოლერიკს, სანგვინიკს, მელანქოლიკსა და ფლეგმატიკს. აქ ძირითადი დაშვებაა, რომ თითოეული პიროვნება ამ ოთხი ბაზისური ელემენტის გარკვეული ბალანსის პრეზენტაციაა. ერთ-ერთი ყველაზე სრული ტიპოლოგიური თეორია ეკუთვნის შელდონს, რომელიც მიიჩნევს, რომ სხეულის კონკრეტული ტიპის აღნაგობა განაპირობებს გარკვეული ტიპის პიროვნების განვითარებას.

ᘐ○ᘑ

პიროვნების თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პიროვნების სტრუქტურის აღსაწერად გამოყენებული კონცეფციების მიხედვით. ზოგიერთი თეორეტიკოსი გვთავაზობს ძალზე რთულ და დეტალურად დამუშავებულ კონსტრუქციებს, რომელთა მრავალრიცხოვანი შემადგენელი ნაწილები მრავლგზის უკავშირდება ერთმანეთს. ასეთია, მაგალითად, ფროიდის სამდონიანი (იდი, ეგო, სუპერ-ეგო) სტრუქტურა. ზოგიერთი თეორეტიკოსი კი, პირიქით, უფრო მარტივად ორგანიზებულ სისტემებს გვთავაზობს, შეზღუდული რაოდენობის შემადგენელი ნაწილებითა და მათ შორის მცირე რაოდენობის კავშირებით. ასეთი კონცეფციების ილუსტრაციაა კოგნიტივისტ ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების კონცეფცია, რომელიც პიროვნების სტრუქტურის შედარებით უცვლელი განზომილებების ახსნისთვისაა მოწოდებული.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ტიპის კონცეფცია გარკვეულწილად ერთი მედლის ორი მხარეა. ტიპის კონცეფციები, ძირითადად, ფოკუსირდება იმაზე, რაც საერთოა პიროვნებებისთვის, ხოლო შტრიხთა კონცეფციები – იმაზე, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან.

ამრიგად, პიროვნებისადმი ნებისმიერი მიდგომა, თუ მას სარგებლიანობაზე აქვს პრეტენზია, ასე თუ ისე უნდა განიხილავდეს საკითხს: რას წარმოადგენს ადამიანის ქცევის სტაბილური, უცვლელი ასპექტები. სტრუქტურის პრობლემა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ორგანიზაციის ბუნება და გავლენა ინდივიდის ფუნქციონირებაზე, ყველა პიროვნების თეორიის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს.

პიროვნების დინამიკა

მთლიანობითი პიროვნების თეორია უნდა ხსნიდეს, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვაგვარად. მოტივაციის კონცეფციები ანუ, სხვა სიტყვებით, ინდივიდუმის ფუნქციონირების პროცესუალური ასპექტები, ფოკუსირდება ადამიანის ქცევის დინამიკურ, ცვალებად თავისებურებებზე. პიროვნების თეორიის ამ კომპონენტის შესახებ შეიძლება მსგავსი ტიპის კითხვები დაისვას: “რატომ ისახავენ ადამიანები ამა თუ იმ მიზნებს და ესწრაფვიან მათ მიღწევას?”; “რა სპეციფიკური მოტივები უბიძგებენ ადამიანებს მოქმედებისკენ და წარმართავენ მის ქცევას?”

ქცევის ამჟამიერი, მიმდინარე ასპექტების გაგების მცდელობებთან შეჭიდულმა პირობებმა მრავალრიცხოვან თეორიულ აღმოჩენებამდე მიგვიყვანა. ზოგიერთ თეორიაში გამოითქმება ვარაუდი, რომ ყველა პიროვნული პროცესი – სექსუალური განმუხტვიდან იუმორის გრძნობამდე – ინდივიდის მიერ დაძაბულობის შემცირების მცდელობებიდან მომდინარეობს. მოტივაციის ე.წ. *რედუქციონისტული მოდელი* (რომელიც პირველად აღწერა ფროიდმა) ვარაუდობს, რომ ინდივიდის ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური) მოთხოვნილებები ქმნის დაძაბულობას, რაც აიძულებს მას ეძიოს განმუხტვა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით. ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების, როგორიცაა შიმშილი, წყურვილი, ძილის მოთხოვნილება, სქესობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება, ადამიანის მოტივაციის ახსნაში დაძაბულობის რედუქციის პოზიციიდან ლაგდება.

რედუქციონისტების საპირისპიროდ, სხვა თეორიები ძირითად აქცენტს აკეთებენ ადამიანის მისწრაფებაზე გარემოს ფლობისაკენ და სიამოვნების მიღწევის მიზნით ახალი გამოცდილების მიღების წყურვილზე. ამ თვალსაზრისის მომხრენი ამტკიცებენ, რომ რაც უფრო ზრდასრული ხდება ადამიანი, მით უფრო ხშირად მიემართება მისი ქცევა ახალი უნარ-ჩვევების მიღებაზე, ძირითადად, იმისთვის, რომ აიმაღლოს კომპეტენტურობა ანდა ეფექტურად მოახდინოს გარემოსთან ურთიერთქმედება; და, ამასთან, უფრო იშვიათად არის მისი ქცევა მიმართული მხოლოდ დაძაბულობის შემცირებაზე.

პიროვნების განვითარება

თუ პიროვნებას განვიხილავთ, როგორც სტაბილური, ხანგრძლივად არსებული მახასიათებლების ერთიანობას, გაგება იმისა, თუ როგორ ვითარდებიან ისინი, უბრალო ცნობისმოყვარეობაზე მეტ მნიშვნელობას იძენს. ტერმინი "განვითარება" მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რომელიც დროთა განმავლობაში მიმდინარეობს ადამიანის სხეულის, აზროვნების ან ქცევის სტრუქტურაში, ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად. ჩვეულებრივ, ეს ცვლილებები პროგრესირებს და გროვდება, რასაც ორგანიზაციის გაძლიერებამდე და ფუნქციის გართულებამდე მივყავართ. განვითარების კონცეფცია ფოკუსირდება საკითხზე, თუ როგორ იცვლება პიროვნების ფუნქციონირების მოტივაციის ასპექტები დაბადებიდან მოწიფულობამდე და შემდეგ მოხუცებულობამდე. ამ ცვლილებათა ახსნა პიროვნების თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია.

პიროვნული განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ზოგიერთი თეორეტიკოსი ადამიანის ცხოვრების მანძილზე ზრდის ფაზებისა და განვითარების გასაგებად განვითარების სტადიურ მოდელს გვთავაზობს. ამ მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია ფროიდის თეორია, რომელშიც პიროვნების ფორმირება წარმოდგენილია ფსიქოსექსუალური განვითარების თანმიმდევრული სტადიების სახით. მეორე მაგალითია ერიკსონის განვითარების უნივერსალური რვა სტადიის კონცეფცია. ზოგიერთი თეორეტიკოსი ხაზს უსვამს დედა-შვილის ურთიერთქმედებას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარების პრობლემის გაგებისათვის. კარლ როჯერსი, მაგალითად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ როგორ ხდება ინდივიდის მე-

კონცეფციის ფორმირება, როგორც შემეცნების, ისე ემოციური თვალსაზრისით, მშობელთა განწყობებისა და ქცევების ზეგავლენით პიროვნების ფორმირების ამ ეტაპზე.

პიროვნული ზრდა მრავალი გარეგანი და შინაგანი დეტერმინანტითაა განპირობებული. გარეგან ანუ გარემოს დეტერმინანტებს მიეკუთვნება: ინდივიდის მიკუთვნებულობა გარკვეული კულტურისადმი, სოციალურ-ეკონომიკური კლასისადმი და თითოეული ოჯახისათვის დამახასიათებელი უნიკალური გარემოსადმი. გარეგან დეტერმინანტებში მოიაზრება გენეტიკური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქტორება.

ამა თუ იმ კულტურისადმი მიკუთვნებულობას, სოციალიზაციის მეშვეობით, საბოლოო ჯამში, მივყავართ აზროვნების, ემოციებისა და ქცევების ნორმატიულ მოდელებამდე. იმისდა მიუხედავად, ვაცნობიერებთ ჩვენ ამას თუ არა, კულტურული გარემო გვიყალიბებს მე-ს ხატს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმას, მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების საშუალებებს, ასევე, მიზნებს, რომელთა მიღწევას ვესწრაფვით. ზუსტად ასევე, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ კლასთან მიკუთვნებულობა გავლენას ახდენს ფასეულობათა, განწყობათა და ცხოვრების სტილის თავისებურებებზე. ოჯახური გარემოს ზეგავლენაც, ასევე, საგრძნობლად აისახება ინდივიდის განვითარებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობელთა მრწამსს, მიზნებსა და ქცევის ფორმებს. მშობლები მიბაძვის მოდელის როლს ასრულებენ და საკუთარი ქცევების საშუალებით ზეგავლენას ახდენენ შვილებზე და ეს გავლენა მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვებათ მათ.

გენეტიკური ფაქტორები – ეს ქცევაზე ზემოქმედების ის სახეა, რომელსაც ბავშვები მემკვიდრეობითობის მექანიზმების საშუალებით იღებენ მშობლებისაგან. გარემოს ფაქტორებთან ერთად, ისინი ცენტრალურ როლს ასრულებენ პიროვნების განვითარების თავისებურებათა განპირობებაში.

გენეტიკური და გარემოს ფაქტორთა ფარდობითი მნიშვნელოვნობის შესახებ მიმდინარე დებატებმა ბიძგი მისცა ახალი თეორიული წარმოდგენების განვითარებას. საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა ურთიერთქმედებდეს ეს ფაქტორები ერთმანეთთან, რომ საბოლოოდ ქცევის გარკვეული მახასიათებლები მივიღოთ. ასეთი ინტერაქციული პოზიციის მქონე თეორეტიკოსები თვლიან, რომ ნებისმიერი ინდივიდი იზრდება გარემოს ზემოქმედების ქვეშ და ვითარდება გენეტიკური მახასიათებლების გავლენით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ პოზიციის თანახმად, მემკვიდრეობითობა ზღუდავს ამა თუ იმ მახასიათებლის განვითარების დიაპაზონს, მაგრამ, ამავე დროს, ამ დიაპაზონის ფარგლებში მახასიათებლების შემდგომი განვითარება გარემოს ფაქტორებით განისაზღვრება.

პიროვნების თეორიები განსხვავდება ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრების მანძილზე განვითარებისა და ცვლილებების საკითხებს; განვითარებაზე პასუხისმგებელ ფაქტორთა აღწერით; ასევე, პიროვნების განვითარებაზე მოქმედი გენეტიკური და გარემოს ფაქტორთა შედარებითი როლის აღიარებით. მიუხედავად ამისა, სრული პიროვნების

თეორია უნდა ხსნიდეს ადამიანის ქცევის საფუძველში მყოფი სტრუქტურებისა და პრინციპების განვითარებას.

ფსიქოპათოლოგია

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც დგება ნებისმიერი პიროვნების თეორია – ესაა იმის ახსნის აუცილებლობა, თუ რატომ ვერ ახერხებს ზოგიერთი ადამიანი საზოგადოების მოთხოვნებისადმი ადაპტირებას და მასში ეფექტურად ფუნქციონირებას. ფაქტიურად, თითოეული პერსონოლოგი ყურადღებას უთმობს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ ახორციელებს ზოგიერთი ადამიანი ქცევის პათოლოგიურ ან არაადეკვატურ სტილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეტიოლოგია – არანორმალური (პათოლოგიური) ფუნქციონირების მიზეზების შესწავლა და ახსნა – პიროვნების თეორიის ამ კომპონენტის ცენტრალური თემაა.

პათოლოგიური ქცევის მიზეზთა ახსნის აუცილებლობამ ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომების განვითარებამდე მიგვიყვანა. მაგალითად, ფსიქოდინამიკური ორიენტაციის თეორეტიკოსები თვლიან, რომ ბავშვობაში გადაუჭრელმა კონფლიქტებმა შეიძლება მოზრდილობაში პათოლოგიური ქცევა გამოიწვიოს. თავად ეს კონფლიქტები ურთიერთგამომრიცხავი სურვილების (სექსისა და აგრესიის სფეროში) თანაარსებობის შედეგად წარმოიქმნება. კონფლიქტები იწვევს ავადმყოფური სიმპტომების ჩამოყალიბებას. ვინაიდან ეს კონფლიქტები არ ცნობიერდება და ადამიანს არ ესმის, რა გახდა სიმპტომთა გაჩენის მიზეზი, სიმპტომები ძლიერდება და ამით მტკივნეულობაც იმატებს. ბიჰევიორალური მიმართულება, პირიქით, თავად ქცევას განიხილავს, როგორც პრობლემას. მსგავს პოზიციებზე მდგარი მეცნიერები თვლიან, რომ პათოლოგიური ქცევის ასახსნელად არ არის აუცილებელი ჰიპოთეზების აგება და სიღრმისეული, დაკვირვებისთვის ხელმიუწვდომელი მექანიზმების დეტალური კვლევა. ამის ნაცვლად, უნდა გაანალიზდეს, როგორ მოხდა გადახრილი ქცევის დასწავლა წარსულში და ინდივიდუმის გარემოს რა პირობების დახმარებით შენარჩუნდა აწმყოში.

ზოგიერთი თეორეტიკოსი ვარაუდობს, რომ ადამიანების ქცევა, ნორმალურიც და პათოლოგიურიც, ოჯახური გარემოს, საზოგადოებისა და კულტურის დაღს ატარებს. ჩვენ ყველა ოჯახის, მეგობრების, ნაცნობი და უცნობი ადამიანების სოციალური კარკასის ნაწილს წარმოვადგენთ; გარშემომყოფებთან ურთიერთობის ზოგიერთი ტიპი აძლიერებს გადახრებს ქცევაში და ზოგჯერ მათი წარმოქმნის მიზეზიც ხდება. ფსიქიკური პათოლოგიის სოციოკულტურული მოდელის მომხრენი ამტკიცებენ, რომ სტრესები და კონფლიქტები, რომელსაც ადამიანები განიცდიან ყოველდღიურ ურთიერთობაში, შეიძლება იწვევდნენ და განამტკიცებდნენ (ინარჩუნებენ) ქცევის პათოლოგიურ ფორმებს.

ფსიქიკურ აშლილობათა მიზეზების ანალიზის აუცილებლობამ მრავალი განსხვავებული მიდგომის გაჩენა გამოიწვია პიროვნების თეორიების განვითარების საკმაოდ მოკლე პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ სრული პიროვნების თეორია უნდა მოიცავდეს იმის მიზეზების დასაბუთებულ

ანალიზს, თუ რატომ არის ზოგიერთი ადამიანისთვის ცხოვრება ასეთი დაძაბული და რატომ არ შეუძლიათ მათ პრობლემათა მოგვარების ეფექტური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ცდილობს რა გაითვალისწინოს ადამიანის ქცევის ასპექტთა მრავალფეროვნება, სანდო პიროვნების თეორია უნდა იძლეოდეს ჯანმრთელი პიროვნების შეფასების კრიტერიუმებს. საკითხი შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რა შედის ცხოვრების ჯანსაღი წესის ცნებაში. ეს თემა ყველაზე ფართო კონცეპტუალურ მოდელთა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

პიროვნების თეორიათა უმრავლესობაში განიხილება საკითხი: რისგან აიგება ფსიქიკური კეთილდღეობა. მაგალითად, ფროიდი ვარაუდობდა, რომ ზრდასრული პიროვნების ფუნქციონირება პროდუქტულად მუშაობისა და დამაკმაყოფილებელი ინტერპერსონალური ურთიერთობების შენარჩუნების უნარით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეს კრიტერიუმი ერთი შეხედვით ძალზე გლობალური და არასპეციფიკური ჩანს, უფრო მეტი ყურადღებით განხილვისას მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება შეიძლება. ამრიგად, ფროიდის მიხედვით, მუშაობის უნარი გულისხმობს ხანგრძლივი, შორეული მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარს, ასევე, შფოთვასთან იმგვარად გამკლავებას, რომ ეს უარყოფითად არ აისახოს ქცევაზე. დამაკმაყოფილებელ სოციალურ ურთიერთობებში მოიაზრება საფრთხის მოლოდინის გარეშე ემოციათა ფართო სპექტრით ტკბობისა და სექსუალური და აგრესიული იმპულსების დაკმაყოფილებაში კონსტრუქციული, აღმშენებლობითი ელემენტების შეტანის უნარი.

ფსიქიკური ჯანმრთელობა სოციალური დასწავლის თეორიის ტერმინებითაც შეიძლება განისაზღვროს. მაგალითად, ბანდურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცნებებს, რომელიც ცხოვრების მოთხოვნების დაკმაყოფილების (ჩვენს) უნარს ასახავს. მისი აზრით, თვითეფექტურობა ანუ საკუთარი უნარის გაცნობიერება, რომ ქცევის სწორედ ისეთი ფორმების ამორჩევა შეგვიძლია, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, წარმოადგენს შეგუების უმთავრეს თავისებურებას. მეტიც, ბანდურა ამტკიცებს, რომ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ძლიერ პიროვნებებად მიიჩნევენ, უფრო რთულ მიზნებს ისახავენ და შედეგად მეტად წარმატებულნი არიან თავიანთი მიზნების მიღწევაში.

ზოგიერთი პერსონოლოგი დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელი პიროვნების პორტრეტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი მდგენელების შექმნას. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ნათელი მაგალითია მასლოუს თვითაქტუალიზაციის თეორია, რომელიც მოთხოვნილებათა იერარქიას ეყრდნობა. მასლოუს მიხედვით, ნორმალური პიროვნული ზრდისთვის საჭიროა მოთხოვნილებათა მნიშვნელოვნობის გადანაცვლება შედარებით პრიმიტიული მოთხოვნილებებიდან (ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების) უფრო ამაღლებულისკენ ანუ უფრო "ადამიანურისკენ" (ჭეშმარიტებისკენ და სილამაზისკენ). მასლოუ, ასევე, იკვლევდა თვითაქტუალიზაციის რეალიზირებული მოთხოვნილებების მქონე ადამიანებს და თავისი დაკვირვებების შედეგები პიროვნული პროფილის

ტერმინებით ჩამოაყალიბა, სადაც შევიდა ისეთი თვისებები, როგორიცაა რეალობის ეფექტური აღქმა, განმარტოებისა და პირადი ცხოვრების მოთხოვნილება, საკუთარი თავისა და სხვების მიღება.

უდაოა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასების კრიტერიუმი ნებისმიერი ამომწურავად სრული პიროვნების თეორიის ცენტრალური საკითხია.

პიროვნების შეცვლა თერაპიული ზემოქმედებით

ვინაიდან პიროვნების თეორიები გარკვეულ ინფორმაციას იძლევიან ფსიქოპათოლოგიის მიზეზების გასაგებად, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ნორმიდან გადახრილი ქცევის კორექციის გზებსაც გვათავაზობენ. მეექვსე და ბოლო საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შესახებ თეორიული მსჯელობებისთვის. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დავეხმაროთ ადამიანებს საკუთარი კომპეტენტურობის ამაღლებაში, არასაკმარისად ადაპტირებული ქცევის შემცირებასა და პოზიტიური პიროვნული ცვლილებების მიღწევაში.

მრავალ პიროვნულ თეორიაში საკმაოდ დეტალურად არის დამუშავებული კლინიკური ანუ კონსულტაციური ასპექტები. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს თითქმის იმავე რაოდენობის თერაპიული მიმართულების არსებობა, რამდენიც არსებობს თავად თეორია. მათ შორის განსხვავებას არა მარტო მკურნალობის მეთოდთა განსხვავებულობა ქმნის, არამედ – მთლიანად პიროვნებაზე მათ შემქმნელთა განსხვავებული შეხედულებები. ერთ პოლუსზე მოთავსებულია ფსიქოდინამიკური თეორია, რომელიც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვობის გაუცნობიერებელ კონფლიქტებსა და დასწავლის გამოცდილებას; ისინი ქცევის კონტროლის დომინანტურ ფაქტორებად განიხილება. ამიტომ თერაპიული ზემოქმედების ფსიქოდინამიკური მოდელი ფოკუსირდება იმაზე, რომ დაეხმაროს ადამიანებს ბავშვობის ასაკის კონფლიქტების ცნობიერებიდან განდევნილი მიზეზებისა და წყაროების გამოვლენაში. ასევე, იმის გაგებაში, თუ როგორ ზემოქმედებს ეს კონფლიქტები მათ ცხოვრებაზე მოზრდილობაში. მეორე პოლუსზე მდებარეობს ბიჰევიორისტული თეორია, რომლის მიხედვითაც, ქცევას მნიშვნელოვანწილად ცხოვრებისეული მოვლენები და გარემო პირობები განაპირობებს. ამ პოზიციაზე მდგომი თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ დარღვეული ადაპტაციის მქონე ადამიანებმა ან თავის დროზე ვერ შეძლეს გარკვეული უნარ-ჩვევების შეძენა, რომელიც აუცილებელია ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში ყოფნისათვის, ანდა შეიძინეს არასაკმარისი ან დეფექტური უნარ-ჩვევები, რომელიც განმტკიცების გარკვეული ფორმების ზემოქმედების შედეგად განუმტკიცდათ. შესაბამისად, მკურნალობის ბიჰევიორისტული მიდგომის ამოცანაა ადამიანებისთვის ახალი ქცევის ფორმების სწავლება ძველის, დეფექტურის ნაცვლად ან არასაკმარისად ადაპტური ქცევითი რეაქციებისგან მათი განთავისუფლება.

ꕥ○ꕥ

თერაპიული ზემოქმედების დახმარებით ადამიანს თავისი პიროვნებისა და ქცევის მრავალი ასპექტის გადაფასებისა და შეცვლის შესაძლებლობა ეძლევა, იქნება ეს საკუთარ თავზე წარმოდგენა, ინტერპერსონალური ურთიერთობების სტილი, შემეცნებითი პროცესები, ემოციური რეაქციები, ფასეულობები, ცხოვრებისეული მიზნები თუ დროის სტრუქტურირების ხერხები და ა.შ. თავის

მხრივ, პიროვნული თავისებურებების დეტალური შესწავლა გვეხმარება იმ საშუალებების შერჩევაში, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქცევის არასასურველი ფორმების მოდიფიცირება ისე, რომ მოცემულ ინდივიდს შეეძლოს ფუნქციონირების უფრო ეფექტურ ხერხებზე გადასვლა.

არსებობს მრავალი განსხვავებული თეორიული მიდგომა პიროვნების გაგებისადმი. მიუხედავად მთელი მათი მრავალფეროვნებისა, პიროვნების თეორიებს გააჩნიათ ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი, კარკასი, რომელიც ექვსი ძირითადი ბლოკისაგან შედგება: სტრუტურა, მოტივაცია, განვითარება, ფსიქოპათოლოგია, ფსიქიკური ჯანმრთელობა და პიროვნების ცვლილება თერაპიული ზემოქმედებით. თეორიის მიერ ამ ბლოკთაგან თითოეულის ასახსნელად შემოთავაზებულ კონცეფციათა ერთობლიობა მეტყველებს მოცემული პიროვნების თეორიის ძირითად შინაარსზე. ამ კონცეპტუალურ საკითხთა გადაჭრის მეთოდები საშუალებას გვაძლევენ, გავიგოთ თითოეული თეორიული კონცეფციის შედარებით ზოგადი პერსპექტივები.

პიროვნების ფსიქოლოგიის ორი ძირითადი მიმართულება

ოლპორტი პიროვნების ფსიქოლოგიაში ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფს (იხ. ცხრილი 1):

1. ბიოფიზიკურს ანუ კონტინენტურს. აქ იგი განარჩევს ხუთი ტიპის თეორიას, ესენია:
    1) კრებითი - პიროვნება განიხილება, როგორც გარკვეული ნასახების, ინსტინქტების, მოტივებისა და ლტოლვების ერთობლიობა;
    2) მთლიანობითი - პიროვნება განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, ინტეგრირებული პიროვნება;
    3) დისკრიმინაციული - პიროვნებას განსაზღვრავს სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი;
    4) იერარქიული - პიროვნება იერარქიულია ანუ მას სხვადასხვა დონეები აქვს;
    5) ბიოლოგისტური.
2. ბიოსოციალურს ანუ ანგლო-საქსურს.

ცხრილი. ორი მიმართულება ფსიქოლოგიაში ოლპორტის მიხედვით.

მიმართულება	ბიოფიზიკური ანუ კონტინენტური	ბიოსოციალური ანუ ანგლო-საქსური
ფილოსოფიური წანამძღვრები	ლაიბნიცის მოძღვრება (ფსიქიკურისა და ფიზიკურის პარალელიზმის იდეა)	ლოკის მოძღვრება (ფსიქიკური და ცნობიერი იგივეობრივი ცნებებია)
ძირითადი დებულება	• სულს სპონტანურობა ახასიათებს. ბავშვს დაბადებიდანვე აქვს ინსტინქტები, ნასახები, რომლებიც სპონტანურად მოჰყვება მას. აღიარებულია მემკვიდრეობითობა. • ცნობიერების შინაარსების ახსნა უნდა მოხდეს არაცნობიერი ფსიქიკურის საფუძველზე, ე. ი. ცნობიერება არ არის თავის თავში დასაბუთებული სინამდვილე.	• ადამიანი რეაქტიულია, იგი ტაბულა რასაა. მას არაფერი აქვს შინაგანი და გამღიზიანებლის გარეშე ასეთივე დარჩება. თუ იქნება გამღიზიანებელი, "სუფთა დაფა" შეივსება. • ცნობიერების შინაარსების ახსნა ცნობიერებისავე შინაარსებით უნდა მოხდეს, ე. ი. ცნობიერება თავის თავში დასაბუთებული სინამდვილეა.

პიროვნების განმარტება	პიროვნება ობიექტურად არსებობს. მას ჩვენგან დამოუკიდებლად აქვს თავისი სახე. ქცევის განმსაზღვრელი რეალურად არსებობს პიროვნებაში და ის თანდაყოლილია (ტემპერამენტი, ნიშნები და ა. შ.). პიროვნება არის სუბიექტის მახასიათებლები ანუ თვისებები. მას გააჩნია როგორც აღქმადი, ისე - ორგანული მხარე. აქედან გამომდინარე, პიროვნება უნდა დავუკავშიროთ ინდივიდის სპეციფიკურ თვისებებს, რომლებიც ობიექტურ აღწერასა და გაზომვას ექვემდებარება.	პიროვნება განიხილება ისე, თუ როგორ ეჩვენება ის სხვას. მას უფრო ნიღბის მნიშვნელობა აქვს. პიროვნება ფიქციაა, შედგენილია დამკვირვებლის მიერ, რათა წესრიგში მოიყვანოს, ფორმა მისცეს პიროვნების გამოვლინებათა მრავალფეროვნებას. უფრო შეესატყვისება ტერმინის ყოფით გამოყენებას, რადგან აიგივებს მას ინდივიდის "სოციალურ მასტიმულირებელ ღირებულებასთან". სწორეს სხვათა რეაქცია განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნებას. ინდივიდს არ გააჩნია არავითარი პიროვნება იმის გარდა, რომელიც მოცემულია გარშემომყოფთა რეაქციებში ანუ სუბიექტის პიროვნება მოცემულია მასზე მორეაგირე სხვებში.
კვლევის მეთოდი	გამოითქმება ჰიპოთეზა, მიდგომა პიროვნების არსისადმი. განისაზღვრება, თუ რა იგულისხმება მასში და შემდეგ მოწმდება ემპირიულად.	შეისწავლება პიროვნების ემპირიული გამოვლინებანი და შემდეგ ამ მონაცემებზე დაყრდნობით აიგება პიროვნების კონსტრუქტი.
ძირითადი საკვლევი პარამეტრები	• შინაგანი ნასახები • კონსტიტუციური მონაცემები • პიროვნების სტრუქტურის სიმყარე • პიროვნების შედარებითი დამოუკიდებლობა საზოგადოებისგან • შედარებითი უცვლელობა	• გარე, ობიექტური ქცევა • ზედაპირული ნიშნები • ქცევის მოტორული კომპონენტები • ინტერპერსონალური ურთიერთობები • პიროვნების მოდიფიცირების შესაძლებლობები

გოლფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716)

ლაიბნიცი არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ მოძღვრების წარმომადგენელია. გარდა ამისა, იგი ფსიქოფიზიკური უნივერსალური პარალელიზმის პოზიციაზე დგას. უნივერსალური პარალელიზმი ნიშნავს, რომ ყოველი ფიზიკური პროცესის პარალელურად მიმდინარეობს ფსიქიკური პროცესი და, პირიქით, ყოველი ფსიქიკური პროცესის პარალელურად – ფიზიკური პროცესი; ე.ი. ფსიქოფიზიკურ პარალელიზმს უნივერსალური ხასიათი აქვს. ბუნებაში ჰარმონია სუფევს, რომელიც თავისთავად არის ჩადებული მონადის წინასწარ მოცემულ ბუნებაში. ლაიბნიცის მიხედვით, არსებულის, სუბსტანციის ძირითადი არსი აღქმის მსგავსია. ამიტომ მისი განვითარების პროცესი იგივეა, რაც ნათელყოფის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ სუბსტანცია სხვადასხვა ხარისხის ცნობიერებით ხასიათდება. არსებობს არაცნობიერი სუბსტანცია და არსებობს მაქსიმალური ცნობიერების მდგომარეობა. განვითარების პროცესი ამ ორ უკიდურეს მდგომარეობას შორის მიმდინარეობს. მარტივი სუბსტანცია

ანუ მონადა არის უსასრულოდ მცირე პერცეფცია, რომელიც არაცნობიერი ხასიათისაა, მაგრამ როდესაც ასეთი მცირე პერცეფციები ერთიანდებიან, ადგილი აქვს აპერცეფციას ანუ არაცნობიერი სუბსტანციის ცნობიერების ფაქტად გადაქცევას ანუ ხდება მისი გაცნობიერება.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ ხდება არაცნობიერი სუბსტანციების გაერთიანება და ამ ერთიანობის ცნობიერების ფაქტად ქცევა? ლაიბნიცი ასეთ შედარებას გვთავაზობს: როცა ზღვა ღელავს, ტალღების შეხეთქება ხმას გამოსცემს. ეს ხმა წყლის მოლეკულათა შეჯახების შედეგად წარმოიქმნება, მაგრამ ორი მოლეკულის შეჯახების ხმას ჩვენ ვერ აღვიქვამთ; ეს უსასრულოდ მცირე პერცეფციაა (ანუ რჩება ჩვენი ცნობიერების მიღმა), მაგრამ როცა ერთმანეთს ეჯახება უსასრულოდ ბევრი მოლეკულა, ამ დროს ეს პერცეფციები ერთიანდება და ადგილი აქვს ცნობიერების ფაქტს – ხმა გვესმის.

ჯონ ლოკი (1632-1704)

ლოკი ცნობიერების ფსიქოლოგიის წარმომადგენელია. მისი მოძღვრება შემეცნების ანუ გნოსეოლოგიის პრობლემაზეა ფოკუსირებული. შემეცნების საკითხს იგი მატერიალისტურად წყვეტს. ლოკის მიხედვით, შემეცნებისათვის აუცილებელია შემმეცნებელი, მაგრამ ის, რისი შემეცნებაც ხორციელდება, შემმეცნებლის გარეშეც არსებობს. მარტივად რომ ვთქვათ, შემეცნების ობიექტი, იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იმეცნებს მას თუ არა, არსებობს შემმეცნებლისგან დამოუკიდებლად. შემეცნება, როგორც ფენომენი, არის წარმოდგენები და იდეები[2] ანუ შემეცნების შინაარსს, ცნობიერების შინაარსს სწორედ ეს იდეები წარმოადგენენ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: საიდან მოდიან ეს იდეები? როგორია მათი ბუნება?

ლოკის მიხედვით, იდეა შეიძლება იყოს მარტივი და რთული. რთული იდეები მარტივი იდეებისგან შედგება. ფსიქიკურ ელემენტს წარმოადგენს მარტივი იდეა. ამრიგად, რთული იდეების შემეცნება ნიშნავს მის გაანალიზებას, დანაწევრებას მარტივ იდეებად. რთული და მარტივი იდეები მოცემულია ცნობიერებაში, ე.ი. ცნობიერება თავის თავში უშუალოდ დასაბუთებული სინამდვილეა. აქედან ნათელია, რომ ლოკი უშუალობის პოსტულატზე დგას.

ლოკის მიხედვით, არსებობს შემეცნების ანუ მარტივი იდეების წარმოქმნის ორი გზა, ორი გამოცდილება: შინაგანი და გარეგანი. მარტივი იდეები აღმოცენდებიან გრძნობის ორგანოების საშუალებით ანუ გამღიზიანებელი ზემოქმედებას ახდენს გრძნობის ორგანოზე და შედეგად აღმოცენდება შეგრძნება. აღსანიშნავია, რომ ლოკი არ უშვებს თანშობილი იდეების არსებობას, ცხოვრებაში იდეები გარედან შემოდიან, "იბადებიან". მისთვის სული ანუ ცნობიერება დაუწერელი, სუფთა დაფაა, "ტაბულა რასაა" და მასზე დაიწერება მხოლოდ ის, რასაც შეგრძნებები მიაწვდიან.

ꕥ○ꕥ

[2] *იდეა* - უნდა დავაზუსტოთ, რომ ლოკი ტერმინით "იდეა" აღნიშნავს ხატის მოცემულობას იმისდა მიუხედავად, ეს ხატი წარმოდგენის ხატია თუ აღქმის ხატი.

ლოკი და ლაიბნიცი ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ფსიქიკის შესახებ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებები მოგვცეს. მათ დასახეს ორი ძირითადი მიმართულება. ლოკის მიხედვით, ცნობიერება თავის თავში დასაბუთებული სინამდვილეა, მისი შინაარსები ცნობიერებისვე შინაარსებით უნდა აიხსნას. იგი უშუალობის პოსტულატზე დგას. ლაიბნიცის აზრით კი, ცნობიერების შინაარსების ახსნა არაცნობიერი ფსიქიკის საფუძველზე უნდა მოხდეს. ე.ი. ცნობიერება არ არის თავის თავში დასაბუთებული.

ლოკთან ფსიქიკური და ცნობიერი იგივეობრივი ცნებებია. ლაიბნიცთან ფსიქიკური უფრო ფართე ცნებაა. ის თავის თავში აერთიანებს როგორც ცნობიერ, ასევე, არაცნობიერ ფსიქიკურს. ლაიბნიცთან დაძლეულია უშუალობის პოსტულატი.

ფსიქიკურის გაგების, ახსნის ეს ორი სახეობა დღემდე უპირისპირდება ერთმანეთს და თანამედროვე ფსიქოლოგიაში ორივე მიმდინარეობაა წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

Фрейджер, Р. Фейдимен Дж.. *Личность: теории, эксперименты, упражнения.* Москва, изд. ОЛМА-ПРЕСС. 2001.

Хьелл Л., Зиглер Д. *Теории личности*. изд. Питер. 1997;